ვახტანგ გურული

არავინ წინასწარმეტყველი

(პიესა ორ მოქმედებად)

გამომცემლობა ინტელიჭტი
თბილისი 2007

რედაქტორი პროფ. ავთანდილ არაბული

ISBN 978-99940-988-4-2 © ვახტანგ გურული, 2007

მოქმედნი პირნი:

ილია ჭავჭავაძე – 60-70 წლის.

არტურ ლაისტი – ილიას მეგობარი, 40-45 წლის.

სილიბისტრო ჯიბლაძე – სოციალ-დემოკრატი, 50-55 წლის.

ფილიპე მახარაძე – სოციალ-დემოკრატი, 30-35 წლის.

პეტრე გელეიშვილი – სოციალ-დემოკრატი, 30-35 წლის.

ნოე ჟორდანია – სოციალ-დემოკრატი, 30-35 წლის.

იოსებ ჯუღაშვილი – სოციალ-დემოკრატი, 20-21 წლის.

კონსტანტინე – თავადი, სამსახურიდან გადამდგარი გენერალი, 60-65 წლის.

ანა – თავადის მეუღლე, 50 წლის.

ექვთიმე – სოფლის სკოლის მასწავლებელი, 25-30 წლის.

იაკობი – სოფლის მღვდელი, 25-30 წლის.

არჩილ ჯორჯაძე – პუბლიცისტი, ეროვნული მოღვაწე, 28-29 წლის.

პასტრულინი – თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი, 40-45 წლის.

რედიგერი – პოდპოლკოვნიკი, 35-40 წლის.

კარაულოვი – პოდპოლკოვნიკი, 40-45 წლის.

კირიონი – ეპისკოპოსი, 56 წლის.

კირიონ II – უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატარიარქი, 68 წლის.

კონსტანტინე აფხაზი – გენერალი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 50-55 წლის.

ბოგდან კნუნიანცი – სომეხი სოციალ-დემოკრატი, 35-40 წლის.

სერგო ორჯონიკიძე – ბოლშევიკი, 28-30 წლის.

კამო (სიმონ ტერ-პეტროსიანცი) – სომეხი სოციალ-დემოკრატი, 25-30 წლის.

ვორონცოვ-დაშკოვი – კავკასიის მეფისნაცვალი, 65-70 წლის.

ტიმოთეევი – გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი, 50-55 წლის.

თავადი – ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემელი 60-65 წლის.

პირველი ინტელიგენტი – ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემელი, 40-45 წლის.

მეორე ინტელიგენტი – ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემელი, 45-50 წლის.

გიმნაზიელები – ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემლები, 15-16 წლისანი.

მუშა – სოციალ–დემოკრატი, 20-22 წლის.

გიორგი – მღვდელი, იოსებ ჯუღაშვილის მასწავლებელი სემინარიიდან, 40-45 წლის.

მიხეილ ქურდიანი – ექიმი, 40-45 წლის.

სოფიო – ექიმის მეუღლე, 30-32 წლის.

ნესტანი – ექიმის ქალიშვილი, 17-18 წლის.

პირველი თავი

პირველი სცენა

საგურამო. ილია ჭავჭავაძის სახლი. აივანზე სხედან ილია ჭავჭავაძე და არტურ ლაისტი. დრო: XIX საუკუნის 90-იანი წლები

ილია ჭავჭავაძე: ცუდი დრო დადგა! ოცდაათ წელზე მეტს ვიღვწოდი, ვფიქრობდი, ამ ცუდ დროს მზად დავხვედროდი, მაგრამ ტყუილი გამოდგა ჩემი მცდელობა. თანამოაზრეები შემომეცალნენ, აზრიც შეიცვალეს. ორ ადამიანზე მწყდება გული – ნიკო ნიკოლაძეზე და გიორგი წერეთელზე. რამ გააგიჟა ეს ხალხი, არ ვიცი! ამტკიცებენ: ბურჟუაზიული წყობილების დამყარება თუ გვიხსნისო! ბურჟუაზიული წყობილება რომ კარგია, ამაზე ვინ დავობს. მაგრამ ავიწყდებათ ერთი რამ: საცაა XIX საუკუნე დაილევა და სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენ ეროვნული ბურჟუაზია არა გვყავს, მთელი ვაჭრობა-მრეწველობა სომხის ხელშია, თუ რამ მათ გადარჩათ, ბერძნებმა და რუსებმა გაინაწილეს. ნიკო და გიორგი რომ გაჰყვირიან, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება გვიხსნისო, ვისთვის ავითარებენ ყოველივე ამას, სომხები კიდევ უფრო რომ გაამდიდრონ? ქართველი ვაჭარი და მრეწველი, სუსტი და დაუცველი, მდიდარ და ხელისუფლები-

საგან დაცულ სომეხს რა კონკურენციას გაუწევს?

არტურ ლაისტი: სავსებით სწორი ბრძანდებით, თავადო! მაგრამ ხსნას რაში ხედავთ?

ილია ჭავჭავაძე: ამჯერად უცხოტომელ ბურჟუაზიას ჩვენ ქალაქს ვერ წავართმევთ – ქალაქი ფულიანი ხალხისაა. თბილისი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი, გორი, ფოთი სომეხ ვაჭარმრეწველთა ხელშია. ბათუმი ხომ 1878 წელს შემოვიერთეთ და სულ რაღაც 10-15 წელში სომხებმა იქაც საფუძვლიანად მოიკიდეს ფეხი. ეს იმიტომ ხდება, რომ მთავრობა, მთავარმართებელი და გუბერნატორი მაგათ მხარეზეა! მალე უცხოტომელები სოფლადაც შეაღწევენ. ამიტომ საჭიროა ქართველ გლეხს ვუშველოთ. საქართველო უნდა იქცეს სოფლის დოვლათის გამტან ქვეყნად რუსეთსა და ევროპაში, ოსმალეთშიც. ამისათვის პირველ რიგში გზაა საჭირო. კახეთში მოსავალი ულპებათ, გაყიდვა კი ვერ მოუხერხებიათ. რაღა აზრი აქვს მეორე მოსავლის მოწევას? აი, ამან გააზარმაცა ქართველი გლეხი, თორემ ის არავისზე ნაკლებად გამრჯე არ არის. გზის უქონლობის გამო გლეხს თავისი ჭირნახული ვერ გააქვს რაჭიდან, ლეჩხუმიდან, ხევსურსა და თუშს ყველი ვერ გაუყიდია! თუ სომეხმა ვა-

ჭარმა მიაკითხა, ჩალის ფასად უნდა ყველა-ფერი.

არტურ ლაისტი: ამიტომ იყო რომაელები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ გზებისა და ხიდების მშენებლობასა და მოვლას! ასი წლით მაინც ჩამორჩით თქვენ ამ თვალსაზრისით ევროპას, რუსეთსაც კი.

ილია ჭავჭავაძე: ოსმალეთსაც!

არტურ ლაისტი: გამოსავალს რაში ხედავთ? გზების მშენებლობას დიდი ფული სჭირდება!

ილია ჭავჭავაძე: მთავრობას თბილის-ბაქოს რკინიგზა რომ გაჰყავდა, ბევრი ვეცადეთ, ნიკოც და გიორგიც გვერდში დამიდგნენ, მაგრამ მთავრობა ვერ დავითანხმეთ, რკინიგზას კახეთზე რომ გაევლო. კახეთი მაშინ განგებ დატოვეს რკინიგზის გარეშე. გაწირეს კახელი გლეხი და საქართველოც!

არტურ ლაისტი: მიზეზს რას ამბობდნენ ინჟინრები? იქნებ ქრთამი უნდოდათ?

ილია ჭავჭავაძე: ჰო! მრეწველმა ანანოვმა ქრთამი გაიღო და რკინიგზა ქუთაისს ააცილა, სოფელ რიონზე გაატარა. იცით რატომ? ანანოვს ვარციხეში ღვინისა და არყის ქარხანა აქვს და გამოთვალა: ვარციხიდან ქუთაისში ღვინისა და არყის გადატანა, ასევე ხე-ტყის გადატანა ძვირი უჯდებოდა, სადგურ რიო-

ნამდე – იაფი. ადგა და მოისყიდა ინჟინრები და რკინიგზის ხაზი თავის ქარხანას დაუახლოვა, ქუთაისი გვერდზე დარჩა. აი, რა შეუძლია ფულს! ჩვენ კი ფული არ გვქონდა, რომ თბილისიდან ბაქოსაკენ მიმავალი რკინიგზა კახეთზე გაგვეტარებინა. ინჟინრებმა მთავრობას შეუთვალეს: კახეთზე რკინიგზის გატარება ძვირი დაჯდება, გვირაბი იქნება საჭიროო. ჩვენმა უფულობამ სომხობის საქმე გააკეთა. ეზიდებიან ეხლა კახეთიდან იაფად ყურძენს, ღვინოს, თამბაქოს და მდიდრდებიან!

არტურ ლაისტი: იქნება მოხერხდეს თქვენი შერიგება ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი წერეთელთან?

ილია ჭავჭავაძე: წარმოუდგენელია! ნიკო ნიკოლაძე სოციალისტურმა იდეებმა გაიტაცა! დაღუპეს ეს დიდი კაცი რუსმა ნაროდნიკებმა. გიორგი წერეთელი ორ სკამზე ზის – ეროვნული მოღვაწეც უნდა იყოს და სოციალისტიც! ნიკოს ზომიერება ჰყოფნის, გიორგის – არა! ახალგაზრდა, პირტიტველა სოციალ-დემოკრატებს დასდევს უკან ეს დროული კაცი. მე მეგონა, იმათ მოიყვანდა ჭკუაზე და თავად დაკარგა ჭკუა...

არტურ ლაისტი: ეგ ყველაფერი ევროპიდან მოდის!

ილია ჭავჭავაძე: ევროპიდან და რუსეთიდან.

არტურ ლაისტი: ნუთუ რაც ოცდაათი წლის მანძილზე გიკეთებიათ, ასე ადვილი მოსასპობია?

ილია ჭავჭავაძე: სოციალ-დემოკრატია დიდი და საშიში ძალაა. მალე სოციალიზმი საქართველოში ეპიდემიის სახეს მიიღებს და ერთიანად მოწამლავს ადამიანებს.

არტურ ლაისტი: მართალი გითხრათ, მე გიორგი წერეთელს ადრეც შევნიშნე სოციალიზმის გავლენა!

ილია ჭავჭავაძე: ალბათ, მაგრამ რაც ამჯერად ხდება, წარმოუდგენელია. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე გიორგის მიერ წარმოთქმული სიტყვა რომ წავიკითხე „კვალში“! ეს ჭორიკანა „კვალი“, არც მეტი, არც ნაკლები, „ივერიის“ ადგილის დაკავებას ცდილობს!

არტურ ლაისტი: „ივერიის“ ადგილის დაკავება ადვილი არ იქნება, მე ეს ვერ წარმომიდგენია!

ილია ჭავჭავაძე: ცუდი დრო მოდის, ამ ცუდ დროში კი ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“ ადგილი ალბათ აღარ იქნება! XX საუკუნე კოსმოპოლიტიზმის საუკუნე იქნება ევროპაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც!

არტურ ლაისტი: ჩემგან არ გესწავლებათ, თავადო, მაგრამ ბევრი რაიმე იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი ახალგაზრდობა მოვა!

ილია ჭავჭავაძე: ბოლო ხანებში ყველაზე მეტს სწორედ ამის შესახებ ვფიქრობ. არის ერთი ახალგაზრდა, შვეიცარიაში იყო, იქიდან მიგზავნიდა წერილებს „ივერიისათვის". ნოე ჰქვია, ჟორდანიაა გვარად, ლანჩხუთელი მემამულის შვილია. ერთხელ იყო „ივერიის" რედაქციაში, თავდაჭერილი, ზრდილობიანი ახალგაზრდაა. თბილისის სასულიერო სემინარია აქვს დამთავრებული. როგორც ამბობენ, ერთი საიდუმლო ორგანიზაციის წევრიც ყოფილა, ვარშავაში რომ შეჰქმნეს ქართველმა სტუდენტებმა, მგონი „საქართველოს თავისუფლების ლიგა" ეწოდებოდა.

არტურ ლაისტი: ვიცი, მეც გამიგია მაგ ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ პროგრამას არ ვიცნობ, ვერაფერს გეტყვი!

ილია ჭავჭავაძე: არის მეორეც, არჩილ ჯორჯაძე, უმცროსია ჟორდანიაზე. დიდი ავტორიტეტი აქვს ახალგაზრდებში, თუმცა დაწერილი ჯერ ბევრი არაფერი აქვს, „ივერიაში" არ მეკარება, მაგრამ კარგია ის, რომ „კვალშიც" არ ბეჭდავს.

არტურ ლაისტი: ამ ორიდან რომელს არჩევდით?

ილია ჭავჭავაძე: ამ ორიდან ნოე ჟორ-
დანიას ვარჩევდი, თითქმის გადაწყვეტილი
მქონდა. მოხდა ერთი ისეთი რამ, რამაც აზრი
შემაცვლევინა, საფიქრალი გამიჩინა, ამრივ-
დამრია. ორი კვირა გავიდა და იმ ბიჭის სახე,
თვალები და ხმა ვერ დავივიწყე! დიდი ძალაა
იმ ბიჭში, რაღაც განსაკუთრებული ძალა!

არტურ ლაისტი: ვინაა?

ილია ჭავჭავაძე: ვინაა ვერ გეტყვი (*მაგი-
დიდან „ივერიის" ნომერს აიღებს*); აი, მისი
ლექსი დავბეჭდე პირველ გვერდზე, წაიკითხე
და შემდეგ ვისაუბროთ.

არტურ ლაისტი: ჟორდანიას და ჯორჯაძეს
ყველა შემთხვევაში შეხვდი და ესაუბრე, არ-
ჩევანი შემდეგ გააკეთე!

ილია ჭავჭავაძე (*დაფიქრებით*): ასე ვიზამ,
თუმცა... შინ შევიდეთ, გვიანაა (*ორივენი ტო-
ვებენ აივანს*).

მეორე სცენა

თბილისი. გაზეთ „კვალის“ რედაქცია.
სხედან: ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო
ჯიბლაძე, პეტრე გელეიშვილი.
დრო: 1897 წელი

ფილიპე მახარაძე: კარლო ჩხეიძე არა ჩანს. რა ვქნათ, დავიწყოთ?

სილიბისტრო ჯიბლაძე: ფილიპე, ხომ იცი, კარლოს არ უყვარს დაგვიანება, ეტყობა არ მოვა, დავიწყოთ.

ფილიპე მახარაძე: სილიბისტრო, ასაკითაც და დამსახურებითაც შენ გეკუთვნის დაწყება!

სილიბისტრო ჯიბლაძე: ნუ ეშმაკობ, ფილიპე! ყველას გეშინიათ პირველი ქვის გასროლა, მერე ყველა გამოიდებთ თავს. ასე რავა დაგაშინათ ყველანი ილია ჭავჭავაძემ!

ფილიპე მახარაძე: მოკლედ ვიტყვი. ილია ჭავჭავაძეს სოციალ-დემოკრატები და „მესამე დასი“ რომ არ მოსწონდა, ამას დიდი მიხვედრა არც უნდოდა. აქამდე ჩვენი მოსახვედრი გიორგი წერეთელს ხვდებოდა და ჩვენ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ხმას არ ვიღებდით. გასულ 1896 წელს „ივერიაში“ ჭავჭავაძემ რომ კარგა მოზრდილი წერილი – „ჩვენი ეხლან-

დელი სიბრძნე-სიცრუე“ – გამოაქვეყნა, სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ხელთათმანის გადმოგდებას, ჩვენ ისევ ვერ ვუპასუხეთ. ნოემ უკბინა ერთი-ორჯერ, მაგრამ ისე: მულს ეუბნებოდნენ და რძალო გესმოდესო! მოქმედებაა საჭირო.

პეტრე გელეიშვილი: ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წერა არაა ადვილი საქმე. ისეთ რაიმეს დაგიწერს, შეიძლება გული გაგისკდეს კაცს! ხო ნახეთ, რა დღე აყარა ილია ხონელს, გიორგი წერეთელს, უფრო ადრე – მიხეილ კატკოვს.

ფილიპე მახარაძე: ეგ ჩვენც ვიცით, პეტრე და ამიტომ სხვა რაიმე უნდა მოვიფიქროთ, ამისათვის ვართ ჩვენ აქ შეკრებილები! ერთი ან ორი წერილით ჭავჭავაძეს ვერას დავაკლებთ. ამიტომ გადავწყვიტეთ (სილიბისტრო ჯიბლაძეს გადახედავს) ილიას იუბილე ჩავშალოთ! ჭავჭავაძის 60 წლისთავი არ უნდა აღინიშნოს: არ უნდა გაიმართოს საიუბილეო კრება, არ უნდა გამოიცეს იუბილისადმი მიძღვნილი წიგნი, არ უნდა დაიბეჭდოს წერილები. ვითომ არც ყოფილა იუბილე. თუ ეს მოვახერხეთ, ორ მიზანს მივაღწევთ: ილია დიდ დარტყმას მიიღებს და ხალხიც მის მიმართ უპატივცემულოდ განეწყობა. თუ იუბილე დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა ნასულია

ჩვენი საქმე, წერე და იკითხე მერე, ილიას კარგა ხანს ვერაფერს დავაკლებთ. ახლა უნდა დავუკარგოთ ხალხს და პირადად ილიას იმისი რწმენა, რომ იგი ერის მამაა, როგორც ზოგიერთები უწოდებენ. რას იტყვით?

პეტრე გელეიშვილი: კარგი აზრია. რუსულ პრესას მე ვიღებ ჩემს თავზე, იქ ილიას იუბილეზე სიტყვას არავინ დაძრავს. სომხური პრესა, ცხადია, მიესალმება ჩვენს წინადადებას.

სილიბისტრო ჯიბლაძე: პეტრე! ნუ ეშმაკობ შენ! ის მითხარი, ქართული ჟურნალ-გაზეთებს რა ვუყოთ, თორემ რუსები და სომხები ილიაზე კარგს რომ არაფერს დაწერენ, რა თავზე აღება უნდა ამას?

ფილიპე მახარაძე: პრესაზე უფრო მე სხვა რამ მაშინებს. სათავადაზნაურო ბანკმა ან ნერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ რომ მოინდომოს იუბილის აღნიშვნა, სად მიდიხარ მერე? ქუთაისის ან ბათუმის საზოგადოებამ რომ გამოიდოს თავი?

პეტრე გელეიშვილი: პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველმა სტუდენტობამ რომ აღნიშნოს იუბილე?

სილიბისტრო ჯიბლაძე: ცხადია, „ივერია" დიდ დაფსა და ნაღარას დაჰკრავს!

ფილიპე მახარაძე: გინდა თუ არ გინდა, „ივერია" დიდი ძალაა, მთელი საქართველო კითხულობს!

პეტრე გელეიშვილი: ჩვენ გვინდა სრული სიჩუმე, არა ილიას კრიტიკა, არამედ სრული სიჩუმე, თითქოს არაფერი მომხდარა! ეს კი ძალზე ძნელია.

სილიბისტრო ჯიბლაძე: მე მგონია, ერთი გამოსავალი გვრჩება: დაშინება და ტერორი!

პეტრე გელეიშვილი: როგორ?

სილიბისტრო ჯიბლაძე: აი ასე: გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებს მუქარის ბარათები უნდა გავუგზავნოთ, დავაშინოთ. უნდა დავაშინოთ სტამბების მფლობელები, რომ არაფერი დაბეჭდონ. წიგნის მაღაზიების მფლობელებიც კი უნდა დავაშინოთ, ილიას წიგნი არ უნდა დაიდოს დახლზე. ბანკში ილიას ბევრი მტერი ჰყავს და მათი ძალებით უნდა ჩავშალოთ იქ იუბილეს აღნიშვნა. წერა-კითხვის საზოგადოებაში კი გაჭირდება საქმე, იქ ილიას აღმერთებს ყველა. სხვა გზა არ რჩება, იქაც დაშინების და შანტაჟის იმედად უნდა ვიყოთ.

ფილიპე მახარაძე: ამას ყველაფერს ხალხი სჭირდება, გაბედული ხალხი.

სილიბისტრო ჯიბლაძე: მოიძებნება ასეთი ხალხი, მარტო რკინიგზის სახელოსნოებში მოიძებნება 10-15 კაცი.

პეტრე გელეიშვილი: ქუთაისსა და ბათუმში რა ვიღონოთ?

სილიბისტრო ჯიბლაძე: დაშინება და ტერორი! სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს, არც დრო ითმენს!

ფილიპე მახარაძე: სილიბისტრო! ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა შევიკრიბოთ, ბათუმელი და ქუთაისელი ამხანაგებიც უნდა მოვიწვიოთ, სანდო მუშებიც. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ. ილია ჭავჭავაძის უკან ორმოცი წლის ნაღვაწია, მოგწონს თუ არ მოგწონს, ასეა! ჩვენ კი სულ რამდენიმე წელია გამოვედით ასპარეზზე. თუ ჭავჭავაძემ ეს ბრძოლა მოგვიგო, ცუდად წავა ჩვენი საქმე!

სილიბისტრო ჯიბლაძე: ფილიპე! ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა, რომლის დევიზია: „ან ჩვენ, ან ილია!“ ჩვენ ამაზე დიდი საქმე არა გვაქვს – ილია ჭავჭავაძე უნდა დავასამაროთ! *(დგებიან და ერთმანეთის მიყოლებით გადიან ოთახიდან).*

მესამე სცენა

თბილისი. გაზეთ „ივერიის“ რედაქცია. ილია ჭავჭავაძის კაბინეტი. სხედან: ილია ჭავჭავაძე და ნოე ჟორდანია. დრო: 1897 წლის შემოდგომა

ილია ჭავჭავაძე: დიდი მადლობა, რომ მობრძანდით! ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მინდა ვისაუბროთ. ხომ არ ჩქარობთ?

ნოე ჟორდანია: არა, მზად ვარ დილამდე გისმინოთ!

ილია ჭავჭავაძე: მე ყურადღებით წავიკითხე თქვენი წერილები, განსაკუთრებით „გაზეთი „ივერია“ და ეროვნობა“. ყველაფერში ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ ვალიარებ: კარგი წერილია. დაახლოებით ვხვდები, როგორ წარმოგიდგენიათ ქართველი ერის, საქართველოს მომავალი. სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, მინდა ვიცოდე თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ევროპისა და რუსეთის მომავალი, რას ამბობენ ამის შესახებ ევროპელი სწავლულები და პოლიტიკოსები?ევროპაში ცხოვრების წლებში, ალბათ, ამ საკითხით დაინტერესდით.

ნოე ჟორდანია: ბურჟუაზიული წყობილების პირველ ეტაპზე ევროპაში მთელი ქო-

ნება მოსახლეობის ორმა-სამმა პროცენტმა იგდო ხელთ. ამან დიდი სოციალური აფეთქების საშიშროება წარმოშვა. ევროპელი პოლიტიკოსები, მთავრობები და პარლამენტები, თვით ბურჟუები, მიხვდნენ, რომ მოსალოდნელი სამოქალაქო ომი დაანგრევდა ევროპის ცივილიზაციას. 15-20 წელია ევროპაში მეტად საინტერესო პროცესი დაიწყო, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: წარმოებაში, ქალაქადაც და სოფლადაც, ყველას, ყველა მოქალაქეს წილი უნდა ჰქონდეს, რაღაცას ფლობდეს. უნდა გაიზარდოს მოსახლეობის საშუალო ფენა. ცხადია, დარჩებიან ძალიან მდიდრებიც და ძალიან ღარიბებიც. ეს საშუალო ფენაა, რომელსაც გააჩნია რეალური საკუთრება, არის სახელმწიფოს საყრდენი, სოციალური სიმშვიდის გარანტი.

ილია ჭავჭავაძე: ეს იყო ოტო ბისმარკის პოლიტიკაც, გერმანია მას სწორედ ამ გზით მიჰყავდა.

ნოე ჟორდანია: გეთანხმებით.

ილია ჭავჭავაძე: რუსეთში რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით, როგორ უყურებენ რუსეთს ევროპელი სწავლულები და პოლიტიკოსები?

ნოე ჟორდანია: თუ შეიძლება, ჩემს თვალსაზრისს მოგახსენებთ?

ილია ჭავჭავაძე: ბრძანეთ!

ნოე ჟორდანია: რუსეთი აშკარად ჰკარგავს ნაციონალური სახელმწიფოს ხასიათს. ევროპულმა კაპიტალმა დაიპყრო რუსეთი, უცხოელები ეპატრონებიან რუსეთის ეკონომიკას. სუსტია რუსული ეროვნული ბურჟუაზია. რუსეთს ელის დიდი საშიშროება: შორს არ არის დრო, როცა რუსეთის საგარეო პოლიტიკას ევროპის ქვეყნები, ევროპელთა ფული განსაზღვრავს.

ილია ჭავჭავაძე: ყოველივე ამას რუსეთში ვერ ხვდებიან?

ნოე ჟორდანია: ცხადია, ხვდებიან!

ილია ჭავჭავაძე: მერე?

ნოე ჟორდანია: რუსეთის მთავრობამ რომ ევროპიდან კაპიტალის შესვლას ხელი შეუშალოს, სიღატაკეში ამოსძვრებათ სული, კიდევ უფრო ჩამორჩებიან ევროპას, მთლად დაიღუპებიან.

ილია ჭავჭავაძე: წეღან ევროპაში მოსალოდნელი სოციალური ამბოხის შესახებ ბრძანეთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ რუსეთში?

ნოე ჟორდანია: რუსეთი თოფის წამლის კასრზე ზის, ის თავიდან ვერ იცილებს დიდ სოციალურ ამბოხს.

ილია ჭავჭავაძე: ევროპა ხელს ხომ არ შეუწყობს ამ სოციალურ ამბოხს?

ნოე ჟორდანია: ძნელი კითხვა დამისვით. წესით, უნდა შეუწყოს, მაგრამ ხომ შეიძლება ეს ამბოხი რუსეთის საზღვრებთან არ შეჩერდეს და ევროპაშიც გავრცელდეს?

ილია ჭავჭავაძე: დავუბრუნდეთ ჩვენი სამშობლოს ამბებს. თქვენი ნაწერები მომეწონა-მეთქი, მოგახსენეთ. ორ რაიმეში მაინც ვერ დაგეთანხმებით. მე გადაჭარბებულად მეჩვენება თქვენი ოპტიმიზმი ქართული ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერების შესახებ. სომხურ ბურჟუაზიას უკვე დიდი ფული აქვს და ჰყავს მფარველი – მთავრობა. ჩვენ, ქართველებს, არც ერთი გვაქვს და არც – მეორე. რის იმედად ვართ? რუსეთში უცხოურმა ბურჟუაზიამ იმიტომ დაჩაგრა რუსული ბურჟუაზია, რომ უცხოელებს ფული აქვს ბევრი და რუსის მთავრობაც მათ მხარეზეა. ფული და მთავრობის მხარდაჭერა დიდ რამეს ნიშნავს. რაც შეეხება საშუალო ფენას, მეც მიმაჩნია, რომ მომავალი საშუალო ფენისაა, მაგრამ არა ისე, თქვენ რომ გგონიათ. საშუალო ფენაში მე ძირითადად და უმთავრესად ქართველ გლეხს ვგულისხმობ, თქვენ კი, თუ სწორად გავიგე, საქალაქო ცხოვრება გესახებათ ჩვენს მომავლად. დამერწმუნეთ, ქალაქში ჩვენ ბრძოლა უკვე წავაგეთ, ჩვენ ქალაქს ქართველი გლეხის გაძლიერების, სოფლის გამდიდრების შემდეგ დავიბრუნებთ.

ნოე ჟორდანია: ვერ დაგეთანხმებით, ბატონო ილია! ევროპის სოციალური მოძღვრების თეორიები ერთმანეთისაგან არ გამოყოფს ქალაქს და სოფელს და უპირატესად განვითარებაში საქალაქო ცხოვრების განვითარებას გულისხმობენ.

ილია ჭავჭავაძე: გეთანხმებით, ესაა იდეალური გზა. მაგრამ ევროპაში, ლონდონში ან პარიზში, სომხური ბურჟუაზიის წინააღმდეგობას არ აწყდებიან. იქ ათ ფულიან კაცში ცხრა ინგლისელი და ფრანგია. თბილისში კი ათ ფულიან კაცში ან ათივე სომეხია, ან ერთი-ორი თუ გამოერევა ქართველი.

ნოე ჟორდანია: ეს დროებითია!

ილია ჭავჭავაძე: კარგი, თავი დავანებოთ ამ საკითხზე პოლემიკას. ისე კი ფრთხილად იყავით: ქართველისათვის არ ეცადოთ და სომეხს არ არგოთ.

ნოე ჟორდანია: ჩვენ იქიდან უნდა ამოვიდეთ, რომ სომხები თბილისიდან არც ათი და არც ოცი წლის შემდეგ არ აიბარგებიან.

ილია ჭავჭავაძე: თქვენ წერთ, რომ თქვენი მიზანია „ქართველობა და ევროპიელობა, გაევროპიელება მიმდინარეობს ქართულ ნიადაგზე ქართულ კულტურაზე". „მესამე დასის" პროგრამა თქვენ დაწერეთ, თქვენ ხართ მესამე დასელთა წინამძღოლი. რამდენადაც მე

ვიცი, სოციალისტებმა უკვე გამოუტანეს განაჩენი ერსაც და ეროვნულ კულტურასაც. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ნოე ჟორდანია: მე ეს არსად დამიწერია, არც მითქვამს!

ილია ჭავჭავაძე: მაგრამ ამას ამტკიცებენ, მაგალითად, სილიბისტრო ჯიბლაძე და პეტრე გელეიშვილი.

ნოე ჟორდანია: ისინი სხვა რამეს ამტკიცებენ: ერი კი არსებობს, მაგრამ ორად – მდიდრებად და ღარიბებად – იყოფაო. მაგას მეც ვამბობ, გიორგი პლეხანოვიც ამბობს. მარქსისა და ენგელსის თეორიაა ეს.

ილია ჭავჭავაძე: ვერ წარმომიდგენია, ღარიბობამ, ანუ, როგორც თქვენ ამბობთ, პროლეტარებმა, როგორ უნდა აიღოს თავის თავზე მთელი ერის ფუნქცია და როგორ უპატრონოს სახელმწიფოს? მე ეს სასაცილოდ მეჩვენება.

ნოე ჟორდანია: სასაცილოდ გეჩვენებათ იმიტომ, რომ თქვენ ბოზარჯიანცის ქარხნის მუშები გყავთ მხედველობაში. ევროპაში ასე არაა. იქ მუშა მოქალაქეა, ნამდვილი მოქალაქე.

ილია ჭავჭავაძე: მე ყოველივე ეს მაინც დემაგოგიად მიმაჩნია!

ნოე ჟორდანია: ისე, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო ხანს ევროპაში მარქსის თეო-

რიის გადასინჯვა დაიწყო და, კერძოდ, პროლეტარიატის როლიც გაზვიადებულად ჩათვალეს. ახლა იქ საშუალო წოდება ცხადდება ერისა და სახელმწიფო ბატონ-პატრონად.

ილია ჭავჭავაძე (*გამოცოცხლდა*): კიდევ რა დაუწუნეს მარქსს?

ნოე ჟორდანია: კი არ დაუწუნეს, განავითარეს! რევოლუციის აუცილებლობის იდეა დღევანდელმა ევროპელმა სოციალისტებმა პრაქტიკულად უარყვეს. ერს, სახელმწიფოს და მთავრობას უნდა ეყოს იმისი უნარი, რომ რევოლუცია თავიდან აიცილოს.

ილია ჭავჭავაძე: რუსეთი?

ნოე ჟორდანია: პლეხანოვი ეთანხმება ევროპელ სოციალისტებს, მაგრამ ფიქრობს რომ რუსეთი უკვე შემდგარია იმ გზაზე, რომელიც მას რევოლუციამდე მიიყვანს. მეც ვფიქრობ, რომ რუსეთი უფრო უახლოვდება რევოლუციას.

ილია ჭავჭავაძე: ესე იგი საქართველოც?

ნოე ჟორდანია: ცხადია.

ილია ჭავჭავაძე: ნოე! პირდაპირ, გულწრფელად მიპასუხე: შენ ხომ გჯერა, რომ რევოლუცია დაღუპავს საქართველოს?

ნოე ჟორდანია: მე არა ვარ რევოლუციის მომხრე, მაგრამ მე ვარ სოციალისტი და, თუ რევოლუცია დაიწყო, განზე ვერ გავდგები!

ილია ჭავჭავაძე: თქვენ ბრძანეთ, – თუ

დაიწყოო. ესე იგი უშვებთ, რომ შესაძლებელია არც დაიწყოს?

ნოე ჟორდანია: ყველაფერი რუსეთში მიმდინარე მოვლენებზეა დამოკიდებული.

ილია ჭავჭავაძე: მე მოვხუცდი. დარჩენილი წუთისოფელი მინდა შევალიო ერთ დიდ საქმეს: საქართველოს რევოლუცია უნდა ავაცილო თავიდან. თუ გვერდში დამიდგებით, დანარჩენზე შევთანმხდებით, ზოგ – რაიმეს მე დავთმობ, ზოგს – შენ. მთავარია, რევოლუცია ავიცილოთ! ნოე! საქართველო ამ რევოლუციას ვერ გადაიტანს, წახდება ჩვენი ქვეყანა, შენი და შენი თაობის საქმე წახდება. უზნეო ხალხი დაეპატრონება ქვეყანას!

ნოე ჟორდანია: ბატონო ილია! მე არ ვეღოდი ასეთ წინადადებას, უნდა მოვიფიქრო, ამხანაგებსაც უნდა დავეკითხო, არ მინდა მათ თვალში მოღალატე გამოვიდე.

ილია ჭავჭავაძე: მესმის თქვენი! თუ გადაწყვეტთ, მე „ივერიის“ თანარედაქტორობას გთავაზობთ, სამომავლოდ კი ამ გაზეთს საერთოდ თქვენ დაგიტოვებთ.

ნოე ჟორდანია: გმადლობთ! (*გადის*).

ილია ჭავჭავაძე (*ჩაფიქრებული*): არ დასთანხმდება! დაიღუპება ეს ჭკვიანი კაცი. ბევრი ასეთი ჭკვიანი კაცი დაიღუპება საქართველოში. ცუდი დრო დგება, ცუდი დრო! (*ფიქრს მიეცემა*).

მეოთხე სცენა

თბილისი. გაზეთ „ივერიის“ რედაქცია.
ილია ჭავჭავაძის კაბინეტი. სხედან:
ილია ჭავჭავაძე და იოსებ ჯუღაშვილი.
დრო: 1899 წელი

ილია ჭავჭავაძე: სემინარიას რატომ დაანებე თავი? ვინმემ გაწყენინა რაიმე? ვინმემ ხომ არ დაგჩაგრა?

იოსებ ჯუღაშვილი: სწავლის ქირა ვეღარ გადავიხადე, შარშანდელიც, მეოთხე კლასისა, ნაწილი გადაუხდელი დამრჩა! დედა მყავს მხოლოდ, ხელსაქმით ირჩენს თავს, ფული მუდამ გვიჭირდა!

ილია ჭავჭავაძე: მამა?

იოსებ ჯუღაშვილი: დიდი ხანია წავიდა სახლიდან, თბილისშია, აღარ მოგვხედა!

ილია ჭავჭავაძე: მამას ნუ განსჯი, ეტყობა პურის ფულსაც ვეღარ შოულობს, თბილისში ძნელია ფულის შოვნა!

იოსებ ჯუღაშვილი: დედასაც უჭირს, მაგრამ მე არ მივუტოვებივარ, გორის სასულიერო სასწავლებელი დამამთავრებინა, სემინარიაშიც შემიყვანა! დედამ კიდეც რომ აპატიოს, მე ვერ ვაპატიებ... არა ჩემს მიტოვებას, არამედ დედის მიტოვებას! დედა იმ დღიდან თავდახრილი დადის, ყველა აგდებით უყურებს!

ილია ჭავჭავაძე: შენი საქმეა, მე ამაში ვერ ჩავერევი. მე შვილი არ მომცა ღმერთმა, საკუთარ თავზე არ გამომიცდია მამობრივი გრძნობა!

იოსებ ჯულაშვილი: ბატონო ილია! რისთვის დამიბარეთ? მითხრეს, ორი კვირაა გეძებსო.

ილია ჭავჭავაძე: სამი წელია ვფიქრობ ამაზე, დიდ და სერიოზულ საქმეზე მინდა ვისაუბროთ.

იოსებ ჯულაშვილი: ვისაუბროთ?!

ილია ჭავჭავაძე: დიახ, ვისაუბროთ! ამ შემთხვევაში ასაკსა და მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს. ვისაუბროთ, მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი. ერთად-ერთი პირობა უნდა ჰქონდეს ჩვენს საუბარს – გულახდილობა. იყოს ასე?

იოსებ ჯულაშვილი: იყოს ასე!

ილია ჭავჭავაძე: ხომ არაფერი შეგვიშლის ხელს? აბა, დაფიქრდი!

იოსებ ჯულაშვილი: არა!

ილია ჭავჭავაძე: საცაა ორმოცი წელი შესრულდება, რაც ჩვენი ბედკრული სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ვიბრძვი: ყველაფერი სამშობლოს შევწირე. მე შემეძლო მშვიდი ცხოვრება მქონოდა, ფულიც მქონოდა და თბილი ადგილიც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში, ან სხვაგან, რუსეთშიც კი.

იოსებ ჯუღაშვილი: თქვენ ღვაწლს, თქვენი მტრებიც კი არ უარყოფენ, უფრო ზუსტად, ვერ უარყოფენ!

ილია ჭავჭავაძე: როცა მოღვაწეობას ვიწყებდი, მეგონა თანამოაზრეები გამიმრავლდებოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით: ყველაზე ღირსეულები ჩამომშორდნენ, ზოგი მტრადაც მომეკიდა.

იოსებ ჯუღაშვილი: თქვენისთანა ადამიანს ეს არ უნდა უკვირდეს. კაცობრიობის ისტორია ერთ რაიმეს უეჭველად ამტკიცებს: ადამიანების არსებობის წესი უზნეობაა, უმადურება უზნეობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, ღალატიც.

ილია ჭავჭავაძე: ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა საუბარმა თავიდანვე გულახდილი ხასიათი მიიღო!

იოსებ ჯუღაშვილი: ტყუილი და პირფერობაც უზნეობის გამოვლინებაა!

ილია ჭავჭავაძე: ეს კითხვა მინდოდა ბოლოს დამესვა, მაგრამ გავკადნიერდები და ახლავე გკითხავთ: რას წარმოვადგენ მე საქართველოს ისტორიაში, ვინა ვარ მე ქართველი ერისათვის?

იოსებ ჯუღაშვილი (*თავს დახრის, რამდენიმე წუთს ფიქრობს*): ებრაელთა მამამთავარი მოსე! მოსეს მსგავსად, თქვენ ყველაფერი

გააკეთეთ, ქართველი ერი აღთქმულ ქვეყანაში რომ შეგეყვანათ, მაგრამ ვერ შეიყვანეთ, ვერც შეიყვანდით! ქართველ ერს თქვენ აღთქმული ქვეყნის კარიბჭესთან დატოვებთ. ისევე, როგორც მოსეს, აღარც თქვენ გისმენენ!

ილია ჭავჭავაძე (*გაოგნებული*): მაშ, ჩემი მისია ამოიწურა?

იოსებ ჯუღაშვილი: დიახ, ამოიწურა! ქართველი ერი ჯერჯერობით არ არის ღირსი შევიდეს აღთქმულ ქვეყანაში!

ილია ჭავჭავაძე: დიდი ხანი ფიქრობდი, სანამ ამ დასკვნას გააკეთებდი?

იოსებ ჯუღაშვილი: იმ დღიდან, „ივერიის" რედაქციაში რომ მოვედი, პირველად რომ გნახეთ.

ილია ჭავჭავაძე: მეტყოდით ყოველივე ამას მე რომ არ დამებარებინეთ?

იოსებ ჯუღაშვილი: არა!

ილია ჭავჭავაძე: რატომ?

იოსებ ჯუღაშვილი: გულახდილად გითხრათ?

ილია ჭავჭავაძე: ხომ შევთანხმდით?

იოსებ ჯუღაშვილი: არ მოვიდოდი და არ გეტყოდით იმიტომ, რომ ყოველივე ეს თქვენც კარგად იცით, ბატონო ილია!

ილია ჭავჭავაძე (*გაოგნებული*): ჩემს თანამოაზრეებში შენნაირი ნიჭიერი არავინ ყოფილა. იქნებ ეს არის საქართველოს ტრაგედია!

იოსებ ჯუღაშვილი: ნიჭი და ზნეობა სხვადასხვა რამაა, ერთ ადამიანში მათი ერთად არსებობა იშვიათია!

ილია ჭავჭავაძე: განვაგრძოთ. ცუდი დრო დგება; შეიძლება ისე მოხდეს, რასაც ორმოცწლიანი ბრძოლით მივაღწიეთ, წყალში ჩაიყაროს, ქარმა წაიღოს!

იოსებ ჯუღაშვილი: წყალში არაფერი ჩაიყრება, ქარიც ვერაფერს წაიღებს. ასე მხოლოდ გამოჩნდება, მოეჩვენებათ და ისიც დროებით. ის, ვინც თქვენს შემდეგ მოვა, თქვენზე გაცილებით სუსტია და რასაც ის მოიტანს, იმაზე გაცილებით ნაკლებად ღირებული იქნება, რაც თქვენ შექმენით!

ილია ჭავჭავაძე: შენ ისიც გეცოდინება, რა ჰქვია იმ რაღაცას?

იოსებ ჯუღაშვილი: კოსმოპოლიტიზმი — ენის, ეროვნების, ეროვნული გრძნობის, სახელმწიფოს, ეკლესიის უარყოფა.

ილია ჭავჭავაძე: დიდხანს ვფიქრობდი, ბევრჯერ გადავიფიქრე შენთან შეხვედრია, მგონი არც დღეს უნდა შეგხვედროდი!

იოსებ ჯუღაშვილი: თქვენის ნებართვით მე წავალ, ბატონო ილია! (*ადგება*).

ილია ჭავჭავაძე: დაბრძანდით, ამდენ საფიქრალთან მარტო მტოვებთ?

იოსებ ჯუღაშვილი: მეშინია, ჩვენმა საუბარმა შეიძლება არაგულწრფელი ხასიათი მიიღოს.

ილია ჭავჭავაძე: ეს უკვე შეუძლებელია. ჩვენ ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით!

იოსებ ჯუღაშვილი (*დაჯდება*): გისმენთ!

ილია ჭავჭავაძე: ვინ არის ის ხალხი, ვისაც ეს საშინელება მოაქვს?

იოსებ ჯუღაშვილი: უზნეო ხალხია, თავის თავზე გაბოროტებული, საშიში ხალხია, უპერსპექტივო, მაგრამ საშიში. არა ენა, არა ეროვნება, არა რელიგია, არა სახელმწიფო – ესაა მათი იდეალი.

ილია ჭავჭავაძე: ვინ მართავს ამ ხალხს? ვინ დგას მათ უკან? რა მიზანი ამოძრავებთ?

იოსებ ჯუღაშვილი: დიდი იმპერიები, კონკრეტულად – გერმანია, ინგლისი, რუსეთი. კიდევ მოიძებნება ერთი-ორი.

ილია ჭავჭავაძე: რას ვუშავებთ მათ, აი, მაგალითად, ჩვენ, ქართველები? აღარც სახელმწიფო გვაქვს, აღარც ეკლესია, ენას ძლივს ვინარჩუნებთ!

იოსებ ჯუღაშვილი: აი, ყოველივე ეს რომ გვექნება, შემდეგ გავხდებით მათთვის საშიში!

ილია ჭავჭავაძე: რა უნდა დავუშავოთ ამოდენა იმპერიებს ან ახლა, ან შემდეგ?

იოსებ ჯუღაშვილი: ყოველი დიდი, მრავალეროვანი იმპერიის მესვეურები ასე ფიქრობენ: იმპერიებს რიცხვით მცირე ერების ბრძოლა დაანგრევსო.

ილია ჭავჭავაძე: მერე!

იოსებ ჯუღაშვილი: მერე ის, რომ, მათი აზრით, სანამ ეს მოხდებოდეს ეს ერები ან უნდა გადაგვარდნენ, ან უნდა მოისპონ. მოსპობა გაცილებით ძნელია, გადაგვარება – შედარებით ადვილი.

ილია ჭავჭავაძე: არა მგონია, ამ იდეას მომავალი ჰქონდეს!

იოსებ ჯუღაშვილი: არც მე!

ილია ჭავჭავაძე (*გაოცებული*): რატომ?

იოსებ ჯუღაშვილი: დიდი იმპერიების სათავეში ერთთავად უნიჭო ხალხია, უზნეო და უნიჭო. ამ იმპერიებს სულ მალე რიცხვით მცირე ერების ბრძოლა კი არა, სხვა რამ დაანგრევს. ამ საფრთხეს კი ისინი ვერ ხედავენ.

ილია ჭავჭავაძე: რა არის ის სხვა რამ?

იოსებ ჯუღაშვილი: ეროვნული მოძრაობის მოსასპობად, მის საპირისპიროდ სოციალისტური იდეები მოიგონეს. ეს სოციალისტური მოძრაობა ისეთი რამაა, რომ რიცხვით მცირე ერებზე და ეროვნულ მოძრაობაზე

უნინარეს დიდ იმპერიებს ის მოუღებს ბოლოს. რიცხვით მცირე ერებს რომ ხაფანგს უგებენ, დიდი იმპერიები თავად გაებმებიან იმ ხაფანგში. რუსეთის იმპერიას ვერასდროს დაანგრევენ ქართველები ან სომხები, ისევე, როგორც ავსტრია-უნგრეთის იმპერიას – სერბები, ან გერმანიას – პოლონელები. ამ იმპერიებს კოსმოპოლიტიზმით დაავადებული ავსტრიელები, გერმანელები და რუსები დაანგრევენ.

ილია ჭავჭავაძე: რა დრო დასჭირდება ყოველივე ამას?

იოსებ ჯუღაშვილი (*იცინის*): ეს იმაზეა დამოკიდებული, დიდი იმპერიების სათავეში ერთბაშად რამდენი უზნეო და უნიჭო მოიყრის თავს.

ილია ჭავჭავაძე: დავუშვათ, რომ სწორად აზროვნებ, ვთქვათ, დაინგრა დიდი იმპერიები, შემდეგ რა იქნება?

იოსებ ჯუღაშვილი: არ დაიჯერებთ, რასაც ახლა გეტყვით.

ილია ჭავჭავაძე: გისმენთ!

იოსებ ჯუღაშვილი: შემდეგ ქართველ ერს გაახსენდება ის, ვინც უარყო, ვინც ჯვარს აცვა.

ილია ჭავჭავაძე: ვინ?

იოსებ ჯუღაშვილი: ილია ჭავჭავაძე!

ილია ჭავჭავაძე (*სკამიდან წამოიჭრება, ოთახში გაივლის*): ესე იგი, ჯვარცმა გარდაუვალია!

იოსებ ჯუღაშვილი: გარდაუვალია. თუ ჯვარცმა არ მოხდა, აღდგომაც არ მოხდება! ვერ ხვდებით, თუ რატომ ჩამოგშორდნენ ძველი თანამოაზრეები?

ილია ჭავჭავაძე: რატომ?

იოსებ ჯუღაშვილი: მათ ჯვარცმის შეეშინდათ! თუ თქვენ შეგეშინდათ, აღდგომის დღეც არ დადგება? ეს ასე იქნება გერმანიაშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც, ყველგან.

ილია ჭავჭავაძე: ახლა ის კითხვა უნდა დაგისვათ, რისთვისაც მოგიწვიეთ: მე მარტო დავრჩი, იქნები ჩემთან?

იოსებ ჯუღაშვილი: არა! თქვენ თქვენი მისია ამოწურეთ, რაც დაგრჩათ, ისიც მარტომ უნდა აღასრულოთ. მე თქვენს შემდეგ მოვალ, მე ჩემი მისია მაქვს!

ილია ჭავჭავაძე: რა მისია?

იოსებ ჯუღაშვილი: დიდი იმპერიები უნდა დაინგრეს! ამას კი ნიჭიერი და უზნეო ხალხი სჭირდება!

ილია ჭავჭავაძე: წადი იოსებ! წადი და დაიმახსოვრე: რევოლუცია დაღუპავს საქართველოს, უამრავი ქართველის სისხლი დაღვ-

რება, ეს სისხლი ისევ ქართველის ხელით დაიღვრება! დაიმახსოვრე: რევოლუცია მხოლოდ რიცხვითი მრავალი ერებისა და დიდი სახელმწიფოების საქმეს გააკეთებს, შენც ტყუილად გგონია, რომ შენს სამშობლოს გაუწევ სამსახურს, ამას გვიან მოხვდები და ჩვენი საუბარიც გაგახსენდება. გონიერი ქართველები ბევრჯერ გამოიყენეს ირანის შაჰებმა, ოსმალეთის სულთნებმა, რუსეთის იმპერატორებმა. მათ სამშობლოს ვერა არგეს რა, სიცოცხლე დიდი იმპერიების ძლიერებას შეწირეს. წადი და დაიმახსოვრე: ეგ არ არის საქართველოს ხსნის გზა! ეს სატანის გზაა! (*იოსებ ჯულაშვილი გადის*).

ილია ჭავჭავაძე (*მარტო დარჩება. ადგება, ფანჯარასთან მივა, ოთახში გაივლ-გამოივლის, შეჩერდება*): ეს სემინარიელი ამას ვერსად ამოიკითხავდა, ვერც ვერავინ ეტყოდა, თავად მოიფიქრა ეს ყველაფერი. ცუდი დრო დგება, ძალიან ცუდი დრო. უზნეო ადამიანების დრო დგება. უზნეოებში რაც მეტი ნიჭიერი გამოერევა, მით უარესი! (*ფიქრს მიეცემა*).

მეხუთე სცენა

სოფელი ქართლში, თბილისის მახლობლად. ეკლესიის ეზო. დრო: 1900 წელი

(წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში საუბრობენ თავადი კონსტანტინე და სოფლის სკოლის მასწავლებელი ექვთიმე).

კონსტანტინე: ექვთიმე! საღამოს ჩემთან მობრძანდით, მღვდელიც დამპირდა, გესტუმრებითო. დილით უთენია ბიჭი გავგზავნე ქალაქში, წიგნებსა და გაზეთებს ამოიტანს. მართალია, სოფელში ვცხოვრობთ, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება ქვეყანაზე!

ექვთიმე: გმადლობთ თავადო, აუცილებლად გეახლებით!

კონსტანტინე: დამდეთ ვალი და მამა იაკობს გამოუარეთ!

ექვთიმე: ორივე გეახლებით.

(საღამო ხანი. თავადის სახლის აივანზე სხედან თავადი კონსტანტინე, მისი მეუღლეანა, მღვდელი – იაკობი, მასწავლებელი – ექვთიმე. რამდენიმე წუთია, რაც ანამ დაასრულა ნოე ჟორდანიას წიგნის „ქართული პრესა“ კითხვა. ყველანი ცუდ ხასიათზე არიან).

კონსტანტინე: გაგონილა! ვინ არის ეს ნოე ჟორდანია? რას კადრულობს! „ივერია“ რეაქ-

ციის მედროშეაო, „ივერიამ" ქართული აზროვნება ერთიანად დააბნელაო! მოღვაწეობის ორმოცი წლის თავზე ეს დაიმსახურა ილია ჭავჭავაძემ?

ექვთიმე: თავადო! ყოველივე ეს ჩვენი წაყრუების შედეგად მოხდა! არა, კონკრეტულად ჩვენი კი არა, მთელი ქართველი ერისა, მთელი საზოგადოებისა!

კონსტანტინე: საზოგადოებაა რაა, მე, სიმართლე გითხრათ, კარგად არ ვიცი, ერი კი, შვილო, ჩვენა ვართ. მე, მამა იაკობი, ჩემი მეუღლე – ანა და შენ ექვთიმე!

ექვთიმე: მეც მაგას მოგახსენებთ, თავადო! ჩვენ აქ წავუყრუეთ, ვიღაცამ იქ და ასე დადუმდა მთელი საქართველო!

კონსტანტინე: ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ?

ექვთიმე: 1897 წელს ილია ჭავჭავაძის იუბილე უნდა აღნიშნულიყო. მაშინ მე სასულიერო სემინარიის მეხუთე კლასში ვიყავი. მოსწავლეებმა რექტორის ნებართვით ილიას იუბილეს აღნიშვნა გადავწყვიტეთ. ხელნაწერი გაზეთი გამოვუშვით, ორმა-სამმა მოსწავლემ ლექსებიც უძღვნა ილიას. კვირა დღეს გაზეთითა და რვეულში სუფთად გადაწერილი ლექსებით ილიას სახლისაკენ გავემართეთ. თან გვახლდა ერთ-ერთი მასწავლებელი. გზაში რამდენიმე

კაცი დაგვხვდა, გვცემეს, გაზეთი და რვეული თავზე გადაგვახიეს და დაგვეჩემენ: თუ ილია ჭავჭავაძის სახელი კიდევ გიხსენებიათ, უარესი დაგემართებათო. სემინარიის რექტორმა მასწავლებლისა და მონაფეების ცემის ფაქტი ჟანდარმერიას აცნობა.

კონსტანტინე: შეიპყრეს ვინმე?

ექვთიმე: რას ბრძანებთ! მესამე დღეს მე და ერთი მოსწავლე კიდევ უფრო მაგრად გვცემეს. მასწავლებლის სახლს მინები ჩაუმსხვრიეს. რექტორმა ეგზარქოსი ჩარია საქმეში, მაგრამ ამაოდ, ვერავინ დასაჯეს.

კონსტანტინე: თქვენ მაინც ვერ გაიგეთ, ვინ გცემათ, თბილისში რა დაიმალება, ყველამ ყველაფერი იცის!

ექვთიმე: გავიგეთ კიდეც. ორი მათგანი დიდუბეში ცხოვრობდა, რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდნენ, დანარჩენებიც მუშები იყვნენ, ოღონდ ვერ გავიგეთ, სად მუშაობდნენ.

კონსტანტინე: ილიამ თუ გაიგო ეს ამბავი?

ექვთიმე: ამას ვინღა დაეძებდა. თურმე დიდი ამბები ხდებოდა. „მესამე დასის“ კაცებს დაუდგენიათ, არავის არ მივცეთ ნება, ილია ჭავჭავაძის იუბილე აღნიშნოსო! ბევრი გაზეთისა და ჟურნალი რედაქცია დაურბევით, ორი

სტამბაც მწყობრიდან გამოუყვანიათ – არ გაბედოთ ილიას იუბილესადმი მიძღვნილი წერილების დაბეჭდვა!.ერთ კაცს მოუხერხებია და წერილი მაინც დაუბეჭდავს, ოღონდ შეშინებია და ფსევდონიმით გამოუქვეყნებია. რედაქტორს მიუვარდნენ, [illegible] იმ კაცის გვარი ათქმევინეს და ის საწყალი სასიკვდილოდ სცემეს. ასე ჩაშალეს იუბილე.

მამა იაკობი: მაგ საქმეში ერთი ჩვენი სოფლელი ბიჭიც ერია. აცთუნეს სოციალ-დემოკრატებმა. თურმე სულ „მესამე დასი“ ეკერა პირზე! შარშან რაღაც საქმეზე დაიჭირეს და გააციმბირეს.

კონსტანტინე: ვაი, ჩემო თავო! აქაც შემოაღწიეს ანტიქრისტეს მოციქულებმა!

ანა: რა გიკვირთ? ის ჩვენი ბიჭი, წიგნები და გაზეთები რომ მოაქვს ქალაქიდან, ცუდ საქმეშია გახვეული!

კონსტანტინე: რა ცუდ საქმეში?

ანა: არ გახსოვთ, ამას წინათ გაზეთების შეკვრაში რაღაც „პრაკლამაცია“ რომ ვუპოვეთ?

კონსტანტინე: ჰოო!

ანა: მაშინ ბევრი იფიცა: არ ვიცი, საიდან აღმოჩნდა აქაო. ახლა მახსენდება: მამა იაკობმა რომ ბრძანა, ჩვენი სოფლელი ბიჭი

გააციმბირესო. სულ ერთად იყვნენ, რაღაცას ჩურჩულებდნენ ხოლმე.

კონსტანტინე (*ანას*): მოურავს უთხარ, ხვალვე ანგარიში გაუსწოროს და გაუშვას! ხვალ ეგა ბომბს შემოიტანს სახლში და მერე იტყვის: არ ვიცი, საიდანაო!

მამა იაკობი: თავადო! იქნება მოთმენა სჯობდეს? მაგ შენს ბიჭს არაფერი აბადია, რომ გაუშვებ, ან შიმშილით მოკვდება, ან ადგება და ქალაქში წავა, რაღაც ცუდ საქმეში გაერევა! აგე, ხომ ხედავ, ერთი გააციმბირეს უკვე!

კონსტანტინე: ჰოო! მაშ არ გავუშვა? ეგრე იყოს, მამაო, იქნებ შენ დამოძღვრო.

მამა იაკობი: მე ჩემსას ვეცდები, დანარჩენი კი ღვთის ნებაა!

კონსტანტინე: ექვთიმე! მე რაც სამხედრო სამსახურიდან გადავდექი და რუსეთიდან დავბრუნდი სოფლიდან ფეხი აღარ მომიცვლია. მთელი ჩემი განათლება ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის ყველა ლექსი, პოემა და მოთხრობა ნამიკითხავს, ვგონებ, „ივერიის“ არც ერთი ნომერი არ დამიტოვებია წაუკითხავი. მამა იაკობი და შენა ხართ ჩემი მასწავლებლები. იწამეთ ღმერთი და გამაგებინეთ, ვინ ოხერია ეს „მესამე დასი“? რა უნდათ, რას ერჩიან ილია ჭავჭავაძეს?

ექვთიმე: „მესამე დასელები“ სოციალისტები არიან. ეგრე ამბობენ, თანასწორობა უნდა დავამყაროთო, ჩაგრული ხალხი უნდა გავათავისუფლოთო, ყველანი ძმები უნდა ვიყოთო.

კონსტანტინე: მერე ილია ჭავჭავაძე უშლით ხელს?

ექვთიმე: ილიაც უშლით, აკაკიც, ვაჟაც და კიდევ ბევრი სხვაც!

კონსტანტინე: და ამას ეგრე, პირდაპირ წერენ?

ექვთიმე: ესენი რას წერენ და ამბობენ, თავადო, ამას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. უბედურება ისაა, მაგათ უკან რომ მოთავეები დგანან, ისინი წერენ და ამბობენ საშინელ რაიმეს.

კონსტანტინე: სად არიან ეგ მოთავეები?

ექვთიმე: ყველგან, ევროპაში, რუსეთში.

კონსტანტინე: ჰოო! რას ამბობენ?

ექვთიმე: არა – ენა, არა – ეროვნება, არა – ეროვნული გრძნობა, არა – ეკლესია, არა – სახელმწიფო!

კონსტანტინე: მა რაო?

ექვთიმე: იქნება ერთი მსოფლიო სახელმწიფო, რომელშიც იცხოვრებენ მსოფლიო მოქალაქეები!

მამა იაკობი: ღმერთს უარყოფენ, ეკლესიას ებრძვიან, რწმენას უნგრევენ ხალხს! რანი ვართო, რას უწოდებენ თავს, შვილო ექვთიმე?

ექვთიმე: ათეისტები!

კონსტანტინე: აბა, ილია ჭავჭავაძე როგორ ეყვარებათ, როგორ ამბობს ილია: „მამული, ენა, სარწმუნოებაო". გასაგებია! დიდი ბრძოლა დაწყებულა, დიდი და საშიში ბრძოლა! მე კი არა ვიცოდი რა!

ექვთიმე: სწორი ბრძანებაა, თავადო! რუსეთში კიდევ უფრო ცუდი ამბებია მოსალოდნელი!

კონსტანტინე: რაო?

ექვთიმე: ციხეები და კატორღა სოციალისტებით აივსო, ბევრი სიკვდილით დასაჯეს, ჩამოახრჩეს. გემახსოვრებათ, 1881 წელს იმპერატორი ალექსანდრე II მოკლეს სოციალისტებმა, ალექსანდრე III-ის მოკვლაც უნდოდათ. ამ ამბებს ბევრი სოციალისტი შეეწირა, ბევრი ციხეებსა და კატორღაშია. მაინც არ ისვენებენ!

კონსტანტინე: ბევრნი არიან?

ექვთიმე: ეშმაკმა უწყის! ახლა ამბობენ, ძირითადად საზღვარგარეთ აფარებენ თავსო. იმუქრებიან: აქედან უნდა ავაფეთქოთ რუსეთის ხელისუფლებაო!

კონსტანტინე: მაგათი გვარები თუ იცი?

ექვთიმე: ასაკით უფროსი გვარად პლეხანოვია, არის კიდევ ერთი, შედარებით ახალგაზრდა, ლენინი, ქალიცაა ერთი – ზასულიჩი.

კონსტანტინე: ქართველებში ვინა ჰყავთ მომხრე და მიმდევარი?

ექვთიმე: მთელი „მესამე დასი“: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე. მწერალი გიორგი წერეთელიც მაგათთან იყო, დიდად ჰპატრონობდა მესამე დასელებს.

კონსტანტინე: ჰოო! და ყველანი ერთად ებრძვიან ილია ჭავჭავაძეს!

მამა იაკობი: არა მარტო ილიას! ისინი ებრძვიან ენას, ეროვნებას, ეკლესიას, ღმერთის მგმობელები არიან! სანამ ილია ჭავჭავაძე ცოცხალია, გაუჭირდებათ ყოველივე ამის გაკეთება, ამიტომ ებრძვიან ილიას! ღმერთო! შენ დაიფარე საქართველო!

ამინ! ამინ! ამინ!

(ეკლესიიდან ისმის ზარების რეკვა, მლვდელი ჯვარს გადასახავს ყველას. სათითაოდ ემთხვევიან ჯვარს და გადიან).

მეექვსე სცენა

თბილისი. გაზეთ „ივერიის“ რედაქცია. ილია ჭავჭავაძის კაბინეტი. მაგიდასთან ზის ილია ჭავჭავაძე. დრო: 1901 წელი

„ივერიის“ თანამშრომელი (*კაბინეტის კარს შემოაღებს*): ბატონო ილია! დიდი ხანია გელოდებიან.

ილია ჭავჭავაძე: სთხოვეთ.

(*კაბინეტში შემოდის სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, ილია წამოდგება. შემოსული თავს დაუკრავს და წარუდგება: არჩილ ჯორჯაძე! ილია ჭავჭავაძე მიუახლოვდება და ხელს გაუწვდის*).

არჩილ ჯორჯაძე: თქვენ გიბრძანებიათ, მნახოსო!

ილია ჭავჭავაძე: დიახ, დიდად გმადლობთ, რომ მობრძანდით! დაბრძანდით (*ილია თავადაც დაჯდება*). საოცარია, ერთ ქალაქში ვცხოვრობთ და ერთმანეთს არ შევხვედრივართ.

არჩილ ჯორჯაძე: მე ყოველდღე გხედავთ ეტლით „ივერიის“ რედაქციაში მომავალს. ისე დაფიქრებული ბრძანდებით ხოლმე, მოსალმებაც კი მერიდება.

ილია ჭავჭავაძე: ეგ ვერ მოგსვლიათ კარგი საქმე (*იცინის*), სჯობდა დაგერღვიათ ჩემი ფიქრები და მომსალმებოდით.

არჩილ ჯორჯაძე: აწი გავითვალისწინებ (*იცინის*).

ილია ჭავჭავაძე: უკვე რამდენიმე წელია ჩვენი ახალგაზრდობის რჩეული ხართ. მინდოდა გვესაუბრა. ეს აზრი უფრო გამიმტკიცდა, როცა „ცნობის ფურცელში" შენი წერილები ნავიკითხე. მეც სიამოვნებით დაგიბეჭდავდით „ივერიაში".

არჩილ ჯორჯაძე: შეიძლება ეს შექებად ჩავთვალო?

ილია ჭავჭავაძე: ცხადია.

არჩილ ჯორჯაძე: გმადლობთ!

ილია ჭავჭავაძე: არჩილ! დაახლოებით ვიცი, მაგრამ შენგან მინდა მოვისმინო: რაში გამოიხატება შენი მრწამსი, რა მიზნის განხორციელებისათვის იღვწი?

არჩილ ჯორჯაძე: ქართული მიწის შენარჩუნება ქართველთა ხელში , ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ქართველთა საერთო ნიადაგზე დგომა.

ილია ჭავჭავაძე (*იცინის*): ქართველთა საერთო ნიადაგზე დგომა ჩვენი ერთად დგომით რომ დაიწყოს წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

არჩილ ჯორჯაძე: ისეთი საკითხები რომ გამოჩნდეს, ჩვენს ერთად დგომას ხელი რომ შეუშალოს?

ილია ჭავჭავაძე: ვნახოთ, იქნებ არც გამოჩნდეს (*იცინის*).

არჩილ ჯორჯაძე: ვნახოთ!

ილია ჭავჭავაძე: ქართველთა მიწის ქართველთა ხელში შენარჩუნებაო, რომ ამბობთ, სწორია, მაგრამ რა გზით აპირებთ ამას. ამ საჭირბოროტო საკითხზე მეც ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ბანკი მოვიფიქრე.

არჩილ ჯორჯაძე: სათავადაზნაურო ბანკი!

ილია ჭავჭავაძე: მიგიხვდი. ძველი ბრალდებაა, თავადაზნაურობის დაცვა გინდა დამაბრალოთ!

არჩილ ჯორჯაძე: არა, მე სხვა რამ მინდა მოგახსენოთ. თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ გლეხობის მიწის დასაცავად.

ილია ჭავჭავაძე: ჭკვიანი კაცი ხარ და ნუთუ ვერ ხვდები: ჩვენი გლეხი ჯერ-ჯერობით არაა მიწის რეალური მფლობელი. ბატონყმობის გაუქმებიდან დღემდე ასეა. გლეხი რაც არ უნდა გაღატაკდეს, მიწას ვერ გაყიდის, ესე იგი სომეხიც ვერ იყიდის ქართველი გლეხის მიწას. სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო! თავადაზნაურობა მიწის რეალური მფლობელია, მიწას მა-

შინ გაყიდის, როცა მოისურვებს და ვისაც უნდა იმას მიჰყიდის. მყიდველი კი ფულიანი სომეხია.

არჩილ ჯორჯაძე: ეგ მეც მესმის, აკი მოგახსენეთ მე სულაც არ გთვლით თავადაზნაურობის დამცველად. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ბანკი გლეხობას არას არგია.

ილია ჭავჭავაძე: თქვენ, ახალგაზრდებმა, რა მოიფიქრეთ ისეთი, გლეხობას რომ არგოს?

არჩილ ჯორჯაძე: გლეხობის მდგომარეობა შეიძლება ორი გზით გაუმჯობესდეს. პირველი გზა უფრო რიგიანია. მთავრობა უნდა ვაიძულოთ, აგრარული რეფორმა გაატაროს. თუ ეს არ მოხდა, არის მეორე გზა – რევოლუცია.

ილია ჭავჭავაძე: მერე ის რევოლუცია მხოლოდ გლეხის საკითხზე რომ არ შეჩერდეს და ყველაფერი ერთიანად წალეკოს!

არჩილ ჯორჯაძე: ამ საშიშროებას, ამ პასუხისმგებლობას მთავრობა უნდა გრძნობდეს!

ილია ჭავჭავაძე: ერთის უპასუხისმგებლობამ მეორის უპასუხისმგებლობა გამოიწვიოს?

არჩილ ჯორჯაძე: მაშ, უქმად ხომ არ ვიქნებით?

ილია ჭავჭავაძე: არჩილ, მისმინეთ! რევოლუციას ნუ ეთამაშებით. რუსებს თავისი მიზნები აქვთ, ქართველებს – თავისი. რუსებმა

რომ რევოლუციით ქვეყანა გადაატრიალონ, ახალმა მთავრობამ იქნებ გლეხის საქმესაც მიხედოს. ჩვენ კი რევოლუცია ნამდვილად არ გვინდა. შენ ხომ იცი, ჩვენი ხელმწიფე, ერეკლე II, რუსეთის იმპერატორს, ეკატერინე II-ს, ტრაქტატით შეეკრა, გეორგიევსკის ტრაქტატს ვგულისხმობ. მართალია, ეს ხელშეკრულება იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაარღვია, მაგრამ ტრაქტატს ამით იურიდიული ძალა არ დაუკარგავს. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია, რუსეთის იმპერატორს მოვთხოვოთ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენა, ესე იგი სამეფოსა და მეფის დაბრუნება. რევოლუციის მიერ დასმულ ახალ მთავრობას კი ამას ვერ მოვთხოვთ. რუსეთის ახლანდელი ხელისუფლების შენარჩუნება ჩვენს ინტერესებში შედის.

არჩილ ჯორჯაძე: ამაზე არ მიფიქრია. ბატონო ილია! ერთი რამ მინდა გკითხოთ: თქვენ პრაქტიკულად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შექმნის იდეას აყენებთ?

ილია ჭავჭავაძე: დადგება ამისი დროც. ოღონდ დიდი სიფრთხილე და ტაქტია საჭირო. რუსეთის იმპერატორს ბარე ათი ერი მოსთხოვს ავტონომიას, ყველა, ცხადია, მიზანს ვერ მიაღწევს. ამიტომაა სიფრთხილე და

ტაქტი საჭირო. ამ საქმეს ქუჩაში გამოსვლა და ყვირილი არ უნდა, არც გაზეთებში წერა. ბევრი ფიქრი და განსჯაა საჭირო.

არჩილ ჯორჯაძე: კი მაგრამ რევოლუცია რომ დაიწყოს? რუსეთის რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ახალი მთავრობა არად ჩაგვაგდებს და კაცმა არ იცის, ვის ჩააბარებენ საქართველოს. ეს არ გაშინებთ?

ილია ჭავჭავაძე: მე უფრო სხვა რამ მაშინებს!

არჩილ ჯორჯაძე: რა?

ილია ჭავჭავაძე: მე იმის მეშინია, რომ შენისთანა ქართველები არ შეინიროს რუსეთის რევოლუციამ! ერთი დიდი და ჭკვიანი კაცი ამბობს: რევოლუციას გეგმავენ გენიოსები, ახორციელბენ ფანატიკოსები, შედეგებით სარგებლობენ ნაძირალები. მე არ მინდა თქვენ ფანატიკოსების როლი გერგოთ!

არჩილ ჯორჯაძე: მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენ ავტონომიისათვის ბრძოლაში ახალგაზრდებს მხარს დაგვიჭერთ, დაგვეხმარებით.

ილია ჭავჭავაძე: ეს წმიდათაწმიდა საქმეა!

არჩილ ჯორჯაძე: გმადლობთ!

ილია ჭავჭავაძე: ცუდი დრო დგება, ძალიან ცუდი დრო. ფრთხილად იყავით შენც და

შენი ამხანაგებიც. ქვეყანას პატრონი სჭირდება! კიდევ შევხვდებით.

(*ილია წამოდგება და ხელს ჩამოართმევს. არჩილ ჯორჯაძე გადის*).

ილია ჭავჭავაძე (*ჩაფიქრდება, სავარძელში ჩაეშვება*): ჭკვიანი კაცია, აშკარად ჭკვიანია, მაგრამ ეტყობა სოციალიზმის სენი შეჰყრია, რევოლუცია თამაში ჰგონია, თუმცა მაგის შველა კიდევ შეიძლება, ჯერ გვიან არაა! (*ფიქრს მიეცემა*).

მეშვიდე სცენა

თბილისი. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო. უფროსის კაბინეტში სხედან: სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი პასტრულინი და ჟანდარმერიის მაღალი რანგის მოხელეები: პოდპოლკოვნიკი რედიგერი, პოდპოლკოვნიკი კარაულოვი. დრო: 1905 წლის იანვრის შუა ხანები

პასტრულინი: ბატონებო! 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარი ამბების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია თქვენ უკვე მიიღეთ. პოლიციის დეპარტამენტი ჩვენგან ითხოვს: არ დაუშვათ თბილისში უკონტროლო ვითარების შექმნა. მოსალოდნელია პროვოკაცია. სისხლი თუ დაიღვარა, ცხადია, ვითარება თავისთავად უკონტროლო გახდება. როგორც ჩანს, ჯარის გამოყენებისაგან მეფისნაცვალი თავს შეიკავებს, ჩვენი ძალებით უნდა ვიმოქმედოთ. რა ვითარებაა ქალაქში? პოდპოლკოვნიკო რედიგერ! რა მონაცემები აქვს ფარული მეთვალყურეობის სამსახურს?

რედიგერი: სადღეისოდ არსებული მონაცემებით, თბილისში მოსალოდნელ გამოსვლებში მონაწილეობას მიიღებს არა უმეტეს 300 მუშისა, დაახლოებით 200-300 მუშა მოვლენათა განვითარების მიხედვით იმოქმედებს.

რსდმპ თბილისის კომიტეტს მზადა ჰყავს შეიარაღებული ჯგუფები, 25-30 კაცი. უმეტესობა შეიარაღებულია მაუზერებით, რამდენიმე კაცს აქვს ნაგანი. სადღაც ქალაქგარეთ, საორიენტაციოდ სოფელ კოჯრის ტერიტორიაზე, დაამზადეს ბომბები, სულ 15 ცალამდე. ამ საქმეს ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი. სადღეისოდ თბილისში 15-20 ტერორისტია, ორი ამდენი ქალაქიდან გაიყვანეს, მაგრამ მათი შემოყვანა ყოველ წუთს შეუძლიათ. თბილისში არ იმყოფება ნოე ჟორდანია, თბილისში იმყოფებიან: ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ფილიპე მახარაძე. ვერ დავადგინეთ, სად იმყოფება იოსებ ჯუღაშვილი – ან თბილისშია, ან ბაქოში. ვვარაუდობთ, მოქალაქეები მიტინგებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობას მიიღებენ, მაგრამ ჟანდარმერიასა და პოლიციასთან შეჯახებას თავს აარიდებენ.

პასტრულინი: ბატონო კარაულოვ! თქვენი ანალიტიკოსები რას ამბობენ?

კარაულოვი: ქალაქში რეალურ ძალას სოციალ-დემოკრატები, კერძოდ, რსდმპ თბილისის კომიტეტი, ფლობს. შეიძლებოდა რამდენიმე აქტიური სოციალ-დემოკრატის დაპატიმრება, მაგრამ თავი უნდა შევიკავოთ.

პასტრულინი: მოტივი?

კარაულოვი: სოციალ-დემოკრატები ებრძვიან და, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას იმპერიისათვის მეტად საშიში ორი ძალის წინააღმდეგ.

პასტრულინი: რა ძალები გყავთ მხედველობაში?

კარაულოვი: ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მომხრეები, ავტოკეფალისტები.

პასტრულინი: რამდენად რეალურია სოციალ-დემოკრატების ბრძოლა ამ ძალების წინააღმდეგ?

კარაულოვი: 1903 წელს სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მოკვლა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ეს უკვე ბევრის მანიშნებელია. საქართველოს ავტონომია ეწინააღმდეგება რსდმპ პროგრამას, იგივე შეიძლება ითქვას ავტოკეფალისტებზე.

პასტრულინი: ბატონო რედიგერ! შეიარაღებული კონფრონტაციის თვალსაზრისით სოციალ-დემოკრატებიდან ვინაა ყველაზე საშიში?

რედიგერი: ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი.

პასტრულინი: მუშათა მასაზე ვისი გამოსვლები მოქმედებს ყველაზე ეფექტურად?

რედიგერი: ისიდორე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ირაკლი წერეთლის, ჭოლა ლომთათიძის.

პასტრულინი: ბატონო კარაულოვ! თუ შეიძლება, ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ განხეთქილება მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის?

კარაულოვი: თითქმის შეუძლებელია. უთანხმოება ძირითადად ეხება თეორიულ საკითხებს. ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ისინი უეჭველად ერთად იქნებიან. მგლის წინააღმდეგ მებრძოლი ძაღლებივით არიან, ერთმანეთის ტყავს არ დახევენ!

პასტრულინი: როდის უნდა ველოდეთ მასობრივ გამოსვლებს?

კარაულოვი: ნაძალადევსა და დიდუბეში 9 იანვრის ამბებისადმი მიძღვნილი მუშათა კრებები უკვე დაიწყო. მასობრივი გამოსვლები, გაფიცვებს ვგულისხმობ, უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.

პასტრულინი: გმადლობთ, ბატონებო! სამსახურის ადგილს ნუ დატოვებთ, ყოველი წვრილმანის შესახებ მომახსენეთ!

(რედიგერი და კარაულოვი გადიან. პასტრულინი ზარს რეკავს. შემოდის ჟანდარმერიის ოფიცერი).

პასტრულინი: სასწრაფოდ შემომიტანეთ ნოე რამიშვილის საქმე, ფარული მეთვალყურეობის განყოფილებას უბრძანეთ, მოამზადონ ცნობა ბოლო ერთი თვის განმავლობაში იოსებ ჯუღაშვილის გადაადგილების შესახებ, დაადგინონ ვინ სტუმრობდა ილია ჭავჭავაძესთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში (*ოფიცერი თავს დაუკრავს და გადის*).

მერვე სცენა

სამგზავრო მატარებლის კუპე. სხედან ილია ჭავჭავაძე და ეპისკოპოსი კირიონი.
დრო: 1906 წელი

ილია ჭავჭავაძე: თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ! დიდად გავიხარე, როცა შევიტყვე, რომ ერთად მოგვიწევდა პეტერბურგამდე მგზავრობა. ამაზე უკეთეს შემთხვევას სასაუბროდ ვერც კი ვინატრებდი.

ეპისკოპოსი კირიონი: სწორი ბრძანებაა, თავადო, სასაუბრო მართლაც ბევრი გვაქვს. თბილისშიც მინდოდა გწვეოდით, მაგრამ მუდამ რაღაც მიშლიდა ხელს.

ილია ჭავჭავაძე: მეუფეო, ძალზე მაინტერესებს თქვენი აზრი იმის თაობაზე, რაც ამ

ერთი წლის განმავლობაში ხდება საქართველოში.

ეპისკოპოსი კირიონი: მე ყურადღებით წავიკითხე თქვენი „ნუთუ?“ და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერში გეთანხმებით. გარდა ამისა, როგორც სასულიერო პირი, დავსძენ: რევოლუციამ ხალხში უფლისადმი რწმენა შეარყია, ხალხი უღმერთო ცხოვრებას მიაჩვია, ათი მცნების დარღვევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მოძღვარმა დაკარგა თავისი ადგილი ხალხის ცხოვრებაში. მღვდლის გაძევება სოფლიდან, წმინდა ხატების შეურაცხყოფა, წმინდა ნიგნების დაწვა – ეს იმისი მაუწყებელია, რომ კაენის სული ბობოქრობს. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, ეკლესიები დაწვეს და მღვდლები დახოცეს. ამის ჩამდენი ადამიანების ნაწილი დასაჯეს, ნაწილს ალბათ მომავალში დასჯიან, მაგრამ ამით საქმეს აღარ ეშველება. სულიერება დაინგრა, ხალხი გაბოროტდა. ციხე, კატორღა და სახრჩობელა სულიერებას ველარ დაუბრუნებს ვერც მკვლელს, ვერც ეკლესიის გადამწველს და ვერც წმინდა ხატების შეურაცხმოფელს.

ილია ჭავჭავაძე: მეუფეო, ჰქონდათ კი სულიერება მათ, ვინაც ცეცხლი წაუკიდა ეკლესიას, წმინდა ხატები შეურაცხყო ან მღვდელი მოკლა?

ეპისკოპოსი კირიონი: ეს ხალხი საგანგებოდ გამოზარდეს, წლების მანძილზე ამზადებდნენ მათ. ისინი ეკლესიას უკვე დიდი ხანია აღარ ეკუთვნოდნენ. მე კონკრეტულად იმ ადამიანებზე არ ვსაუბრობ, რომელთაც, მაგალითად, ეკლესია გადაწვეს. მე მთელს მრევლს ვგულისხმობ, შეშინებული რომ იდგა და მდუმარედ შეჰყურებდა მოგიზგიზე ცეცხლს. ის ხალხიც ხომ ცოდვაში ჩავარდა, მათი სულიერებაც ხომ დაინგრა. მთელი სოფელი ორ-სამ ღვთისმგმობელს ვერ აღუდგა წინ და თავისი უმოქმედობით ცოდვაში ჩავარდა. ახლა წარმოიდგინეთ იმ ბავშვების სულიერი მდგომარეობა, თავისი თვალით რომ ნახეს, თუ როგორ ჰყრიდნენ ცეცხლში წმინდა წიგნებსა და წმინდა ხატებს. რევოლუციამ ყველაზე დიდი ზიანი სულიერებას მიაყენა, დანარჩენს ყველაფერს ეშველება. ღმერთი მოწყალეა და ვინც გულწრფელად მოინანიებს, შეუნდობს კიდეც!

ილია ჭავჭავაძე: ჩვენს საზოგადოებას ეს სენი დიდი ხანია შეეყარა, თხუთმეტი წელი მაინც იქნება, რაც მისი პირველი ნიშნები გამოჩნდა. სოციალიზმია ეს სენი. სოციალისტების დევიზია: არა – ერი, არა – სახელმწიფო, არა – ეკლესია. ევროპიდან და რუსეთიდან მოდის ეს სენი. საოცარია, რომ ბევრი ნიჭიერი

ადამიანი შეიპყრო ამ სენმა. არ მეგონა კი, თუ ასე ეპიდემიასავით გავრცელდებოდა იგი. მეუფეო, თქვენ შეშინებული და მდუმარე მრევლი ახსენეთ. თქვენი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ ის შიში და მდუმარება იმავე სენის გამოვლინება იყო. მთელი საზოგადოება, მთელი ერი დაავადდა. ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით. ჩემს მამულში უკმაყოფილო სულ რამდენიმე გლეხი მყავდა. მთელი სოფელი გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა ორი-სამი თავზეხელაღებული, სოციალისტების მიერ წაქეზებული ადამიანის თვითნებობასა და ავკაცობას. ხმა არავინ ამოიღო, არავინ დამიცვა. შვილებივით გამოზრდილი ხალხი არ დამიდგა მხარში. მათაც იგივე სენი ღრღნიდა, რაც იმ არამზადებს, ოღონდ ჯერ-ჯერობით თავს იკავებდნენ. რევოლუციამ ავადმყოფი საზოგადოება დაგვიტოვა. ჩვენი უბედურება მარტო ეს არაა. ავადმყოფ საზოგადოებას სოციალისტები ისევ თავის ნებაზე ათრევენ და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა უბედურებაში გადაჩეხავენ.

ეპისკოპოსი კირიონი: ღმერთია მოწყალე! რევოლუცია და ყველაფერი ის, რაც დღეს ხდება, ღვთის სასჯელია, უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება. უფალი გვიჩვენებს ხსნის გზას, თუ ჩვენ ამას დავიმსახურებთ!

ილია ჭავჭავაძე: მე კი მგონია, რომ ეს ცოდვა დიდხანს იტრიალებს საქართველოში და ბევრი უცოდველი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს, ახლაც და მომავალშიც.

ეპისკოპოსი კირიონი: უფლის ნებას წინ ვერავინ აღუდგება! უცოდველი მაცხოვრის სისხლმა გამოიხსნა კაცობრიობა უდიდეს ცოდვათაგან. მაცხოვრის მოწამებრივი აღსასრული მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ეკლესიისა და ერის სამსახურში ჩამდგარა.

ილია ჭავჭავაძე: სანამ ჯვარზე გამაკრავდნენ, მეუფეო, მინდა ორ რაიმეს მივაღწიო: საქართველოს ავტონომიას და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. თუ ამას მივაღწიეთ, ცხადია, ჩვენი საზოგადოებაც თანდათან განიკურნება, ერი გამთლიანდება, ახალი ერა დაიწყება ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

ეპისკოპოსი კირიონი: ღმერთმა გისმინოთ! ავტონომიაც და ავტოკეფალიაც ჰაერივით სჭირდება ქართველ ერს. მე ბერი ვარ და პოლიტიკაში ვერ ჩავერევი, თუმცა ავტონომიისათვის ბრძოლაში ჩემი ლოცვა-კურთხევა უეჭველად გექნებათ. ავტოკეფალიის აღდგენისათვის კი მე უკანასკნელი ამოსუნთქვამდე უნდა ვიბრძოლო. შევთხოვ უფალს,

მომცეს სულიერი და ფიზიკური გამძლეობა, ჭირთათმენის უნარი.

ილია ჭავჭავაძე: ავტონომია და ავტოკეფალია ერთდროულად უნდა მოვიპოვოთ, ცალკე რომელიმე მათგანის მიღწევა შეუძლებელი იქნება. თუ დამარცხდა ავტონომისტთა მოძრაობა, ჩათვალეთ, რომ იგივე დღე ელის ავტოკეფალისტთა მოძრაობასაც და პირიქით.

ეპისკოპოსი კირიონი: მეც ასე ვფიქრობ.

ილია ჭავჭავაძე: მეუფეო, როგორ შეხვდნენ რუსეთის საეკლესიო კრების წინა თათბირზე ქართველი სამღვდელოების მიერ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას?

ეპისკოპოსი კირიონი: ძალიან ცუდად, ირონიით, ზიზღითაც კი. ჩემი მეუფე ლეონიდის გამოსვლას ასე თუ ისე ნორმალურად შეხვდნენ, მაგრამ ალექსანდრე ცაგარელისა და ნიკო მარის გამოსვლებმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ისტორიული სიმართლე ჩვენ მხარეზეა, ალექსანდრე ცაგარელმა ეს შესანიშნავად დაამტკიცა. რუსები გაღიზიანდნენ. თქვენთვის კარგად ცნობილმა დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა დიდი აგიტაცია დაიწყო ჩვენ წინააღმდეგ, სამაგიეროდ, დეკანოზმა ნიკოლოზ დურნოვომ დაგვიცვა, ღმერთმა დალოცოს, დიდი სამსახური გაგ-

ვინია. ნიკოლოზ დურნოვო რომ რუსი არ იყოს, არაფრად ჩააგდებდნენ, მაგრამ რუსი დეკანოზის თავგამოდებამ ჩვენს სასარგებლოდ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო უწმიდესი სინოდი და რუსი მეცნიერები.

ილია ჭავჭავაძე: როგორ ფიქრობთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე როდის მიიღებს დადგენილებას საეკლესიო კრების წინა თათბირი?

ეპისკოპოსი კირიონი: ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე თუ როდის დაინიშნება რუსეთის საეკლესიო კრება. ხმები დადის, რომ საეკლესიო კრების მოწვევას დიდი ძალები ეწინააღმდეგებიან. თუ საეკლესიო კრება არ მოიწვიეს, თათბირი საერთოდ არანაირ დადგენილებას არ გამოიტანს. ამიტომაა, რომ თათბირი საქმის განხილვას ყოველნაირად აჭიანურებს.

ილია ჭავჭავაძე: მეუფეო, მე დავიწყე მასალების შეგროვება. მინდა იმპერატორს ვრცელი მოხსენება წარვუდგინო საქართველოსათვის ავტონომიის ბოძების თაობაზე. მინდა ნიადაგი მოვსინჯო სახელმწიფო საბჭოშიც, სახელმწიფო სათათბიროშიც. ვაპირებ შევხვდე პოლიტიკური პარტიების ლიდერებსაც. ვიცი, სოციალ-დემოკრატები დიდ წინააღმდეგობას გამიწევენ. მათი პროგრამა ეწი-

ნაამდეგება საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და იოსებ ჯუღაშვილი დიდ აურზაურს ასტეხენ, ქვეყანას ამიმხედრებენ. სამაგიეროდ, იმედი მაქვს, რომ მხრას დამიჭერენ არჩილ ჯორჯაძე, გიორგი გვაზავა და კიდევ ერთი-ორი ახალგაზრდა მოღვაწე. ისე კი, თუ ამ მოძრაობამ პროტესტის სახე მიიღო და ქუჩაში გადავიდა, ეს საქმეს ავნებს. მთავარია იმპერატორისა და სახელმწიფოს საბჭოს პოზიცია.

ეპისკოპოსი კირიონი: თუ საიდუმლო არ არის, მაინც როგორი უნდა იყოს თქვენი მოხსენების შინაარსი.

ილია ჭავჭავაძე: ვფიქრობ, იმპერატორს ვთხოვო საქართველოს პოლიტიკური ავტონომია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში, სოხუმის ოკრუგის, ბათუმის ოლქისა და ზაქათალის ოკრუგის ჩათვლით. ამ ტერიტორიაზე უნდა აღდგეს საქართველოს სამეფო. საქართველოს ეყოლება მეფე, ექნება თავისი სათათბირო – სეიმი. ჯერ არ გადამიწყვეტია, დავაყენოთ თუ არა ქართული ფულის აღდგენისა და ქართული ჯარის შექმნის საკითხი. ამ ორმა საკითხმა შეიძლება დიდი წინააღმდეგობა გამოიწვიოს და საერთოდ შეაფერხოს ავტონომიის ბოძება. ამის სანაცვლოდ, ვფიქრობ, უმჯობესია მოვითხოვოთ სა-

ქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, საეკლესიო კრების მოწვევისა და კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის უფლება.

ეპისკოპოსი კირიონი: მეც ასე ვფიქრობ. ავტოკეფალია განამტკიცებს ავტონომიას. ეს იქნება პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ავტონომიური საქართველო და რუსი ეგზარქოსი თბილისში პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია.

ილია ჭავჭავაძე: მეუფეო! ჩემი აზრი კიდევ უფრო განამტკიცეთ. ქართული ფულისა და ქართული ჯარის საკითხი დღევანდელ ვითარებაში პეტერბურგში ბევრს ჩვენს წინააღმდეგ განაწყობს.

ეპისკოპოსი კირიონი: მეფე ვინ უნდა იყოს?

ილია ჭავჭავაძე: მეუფეო, ეს დიდი და ძნელად გადასაწყვეტი საკითხია. უკვე გვიანაა, ახლა მოისვენეთ და ხვალ გავაგრძელოთ საუბარი. დრო ბევრი გვაქვს.

ეპისკოპოსი კირიონი (*წამოდგება*): ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

(*ილია ჭავჭავაძე გადის. ეპისკოპოსი კირიონი ლოცვას იწყებს*).

მეცხრე სცენა

თბილისი. ავლაბარი. რსდმპ თბილისის კომიტეტის კონსპირაციული ბინა. სხედან: ბოგდან კნუნიანცი, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე.
დრო: 1907 წლის ივნისის დამდეგი

ბოგდან კნუნიანცი: ჩვენი შეკრება ტარდება სრულიად საიდუმლოდ. შეკრების შესახებ არ უნდა გაიგოს რსდმპ თბილისის კომიტეტმა, არც ერთმა ამხანაგმა, როგორი სანდოც არ უნდა იყოს იგი.

ფილიპე მახარაძე: ბინის პატრონმა ხომ იცის, შეიძლება მან ჩვენგან დამოუკიდებლად აცნობოს კომიტეტს.

ბოგდან კნუნიანცი: ბინის პატრონი გაფრთხილებულია.

სერგო ორჯონიკიძე: მაინც სჯობდა სხვაგან შევკრებილიყავით, თუნდაც სადმე სოფელში.

ბოგდან კნუნიანცი: ორი კვირის წინ დავბრუნდი ჟენევიდან. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განიხილეს ამიერკავკასიაში და, მათ შორის, საქართველოში შექმნილი ვითარება. გამოითქვა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ბოლო ხანებში

მასებში გავლენა დაკარგა. რევოლუციის დამარცხების ფონზე ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. არის უფრო სერიოზული მიზეზიც. ჩვენმა ბრძოლამ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1905 წელს (*გადახედავს ფილიპე მახარაძეს*) სათანადო შედეგი არ გამოიღო. ამჯერად ილია ჭავჭავაძე ჩვენთვის ძალზე საშიში მოღვაწეა. ეს ცხადად დაადასტურა მისმა არჩევამ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად. ჭავჭავაძეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია დააყენოს ჩვენთვის მეტად საზიანო საკითხი მთავრობის თავმჯდომარისა და თვით იმპერატორის წინაშეც კი. ჭავჭავაძე ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჭავჭავაძე სულ მალე დააყენებს საკითხს საქართველოს ავტონომიის შესახებ. საყოველთაოდაა ცნობილი მისი მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი სამღვდელოებისადმი. საქართველოს ავტონომია და საქართველოს ეკლესიის ავტონომიის აღდგენა ძლიერ დარტყმას მიაყენებს ჩვენი პარტიის პოზიციებს. ყოველივე ამის გამო რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: ილია ჭავჭავაძე უნდა მოკვდეს. აი, ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგი ლენინი. ტერორისტული აქტის გან-

ხორციელება დავალებული გვაქვს ჩვენ სამს (*გადასცემს ბარათს ფილიპე მახარაძეს*).

ფილიპე მახარაძე: აქ წერია, რომ მნიშვნელოვანი პარტიული დავალების განხორციელებაში მე და სერგო უნდა დაგეხმაროთ თქვენ, მაგრამ არაფერი წერია ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ (*ბარათს სერგო ორჯონიკიძეს გადასცემს*).

ბოგდან კნუნიანცი: ამხანაგო ფილიპე! თქვენ არ იცით, რომ ასეთი რაიმეს შესახებ ბარათში არ წერენ? (*ბოგდან კნუნიანცი სერგო ორჯონიკიძეს ბარათს გამოართმევს და ორივეს თვალწინ დაწვავს*).

ფილიპე მახარაძე: იქნებ მაინც საჭიროა თბილისის კომიტეტის აზრის გაგება? ილია ჭავჭავაძის მკვლელობას დიდი ამბები მოჰყვება, ამხანაგები საქმის კურსში უნდა იყვნენ!

ბოგდან კნუნიანცი: თბილისის კომიტეტი კი არა, უმკაცრესი მითითებაა: ტერაქტის შესახებ არაფერი არ უნდა გაიგოს იოსებ ჯუღაშვილმა.

სერგო ორჯონიკიძე: რატომ?

ბოგდან კნუნიანცი: პარტიის V ყრილობის შემდეგ ლონდონში ამხანაგი ლენინი ორჯერ შეხვდა და ესაუბრა ჯუღაშვილს. ჯუღაშვილი კატეგორიულად წინააღმდეგია ილიას მოკვლისა. ახლა ის ბაქოში უნდა იყოს, მაგრამ

შეიძლება თბილისში ჩამოვიდეს. არაფერი უნდა იყნოსოს. ეს უმკაცრესი მითითებაა.

ფილიპე მახარაძე: მე, რა თქმა უნდა, ვემორჩილები პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, მაგრამ ყველაფერი ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს!

ბოგდან კნუნიანცი: ცუდად მაშინ დამთავრდება ყველაფერი, თუ საქართველომ ავტონომია მიიღო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. ჩვენ მესამეხარისხოვან ძალად ვიქცევით, თუ საერთოდ გაგვაჩერეს საქართველოში.

ფილიპე მახარაძე: ამხანაგო ბოგდან! ჯუღაშვილი სულელი არ არის! არ გაფიქრებს მისი უარი?

ბოგდან კნუნიანცი: ჩვენ დღეს ჯუღაშვილის პოზიციის შესაფასებლად არ შევკრებილვართ, ჩვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალება უნდა შევასრულოთ!

სერგო ორჯონიკიძე: ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, მისი ხელახალი განხილვა კი ჩვენი საქმე არ არის! არც ჯუღაშვილის პოზიციის გარკვევაა ჩვენი საქმე!

ბოგდან კნუნიანცი: გადავიდეთ საქმეზე. ილია ჭავჭავაძე ჩვენ შეიძლებოდა მოგვეკლა ჩასაფრებიდან გასროლით სადმე, ტყიან ადგილას, ან სულაც თბილისში. ენენევაში ამხანა-

გებმა სავსებით სწორად გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჭავჭავაძე მოკლან გლეხებმა, ვითომდა მასზე გაბოროტებულმა გლეხებმა. ამით დაიფარება მკვლელობის დამკვეთი და პოლიტიკურ მკვლელობაზეც ვეღარ ისაუბრებს ვინმე. გლეხებმა ბევრი მემამულე მოკლეს ამ წლებში. ჭავჭავაძის მკვლელობას რომ პოლიტიკური მკვლელობის ხასიათი მიეცეს და კვალი ჩვენკენ წამოვიდეს, ყოვლად დაუშვებელია. ამხანაგო ფილიპე! თქვენ გევალებათ საგურამოს გლეხების დარაზმვა ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ეს კარგად გააკეთეთ 1905 წელს, იმედია ახლა კიდევ უფრო კარგად გაართმევთ თავს. პირადად გლეხებს არ ეჩვენოთ, უნდა იმოქმედოთ არა მეორე, არამედ მესამე პირის მეშვეობით. მე მგონი გასაგებია, რომ მესამე პირი თქვენ არ უნდა გიცნობდეთ. რაც შეეხება მეორე პირს, იგი უნდა მოკლათ ტერორისტული აქტის დღესვე, ან მეორე დღეს მაინც. გლეხების ჯგუფმა, 5-6 კაცმა, ჭავჭავაძის ეტლი უნდა გააჩეროს ან საგურამოდან თბილისში მიმავალი, ან პირიქით – თბილისიდან საგურამოში მიმავალი. თუ გლეხები ჭავჭავაძეს მოკლავენ, ხომ კარგი, თუ არა და იქვე ჩასაფრებაში იქნება ერთი ტერორისტი, რომელიც შეასრულებს გასროლას. გლეხებს ბოლომდე

ვერ ვენდობით, შეიძლება ბოლო მომენტში მერყეობა დაიწყონ. ტერორისტმა კი თავისი საქმე კარგად იცის. ამხანაგო სერგო! ამ ტერორისტის მოძებნა შენ გევალება. ჩვენ მისი გასროლის იმედად ვართ. ფულზე უკან ნუ დაიხევ. ამხანაგო ფილიპე! ამ ტერორისტის შესახებ გლეხებმა არაფერი არ უნდა იცოდნენ, ხოლო ტერორისტმა გლეხების ჩასაფრების ადგილი წინასწარ უნდა დაათვალიეროს და სროლისათვის ადგილი შეარჩიოს. ფული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გადმომცა და ჩემთან ინახება. კიდევ ერთი დეტალი. ილიას მეეტლე ან მისი მცველი, უკეთესია მეუღლე, ცოცხალი უნდა გადარჩეს, ძიებას გლეხების თავდასხმის ფაქტი რომ დაუდასტურონ. ეს უკვე თქვენ გეხებათ, ამხანაგო ფილიპე! შეიძლება გლეხების მიერ ჭავჭავაძის მოკვლა არადამაჯერებელი გამოდგეს, ამიტომაც იმავე დღეს უნდა დაირხეს ხმები, რომლის მიხედვითაც ჭავჭავაძე მოკლეს ძარცვის მიზნით. ან იმის შესახებ, რომ ჭავჭავაძე მოკლეს რუსის ოფიცრებმა, ან უცნობმა პირებმა, რომლებიც სომხურად ლაპარაკობდნენ. ამხანაგო სერგო! ტერორისტი ქართველი უნდა იყოს. შეასრულებს თუ არა თავის საქმეს, იგი იმავე დღეს ბაქოში ან ბათუმში უნდა გადაიყვანო და ორი-სამი კვირა დამალო.

ახლა დავიშალოთ. ჯერ მე წავალ, შემდეგ თქვენ, ოღონდ ცალ-ცალკე, ათი წუთის ინტერვალით (*ბოგდან კნუნიანცი გადის*).

ფილიპე მახარაძე: სერგო! ამ საქმეში მე ყველაზე მეტად ჯუღაშვილის პოზიცია მაშინებს. ვერაგი კაცია! ახლა შეიძლება ვერაფერი გაიგოს, მაგრამ ეჭვს აიღებს და ვინ იცის, როდის გაგვიხსენებს!

სერგო ორჯონიკიძე: ვერაფერს გაიგებს! ამხანაგი ბოგდანი ჭკვიანი კაცია, იმიტომ ენდობა ამხანაგი ლენინი. ჩვენ არ გვითხრა, თორემ რა მიხვედრა უნდა: გლეხები, რუსი ოფიცრები და სომხები ჯუღაშვილის დასაბნევადაც არის გამიზნული.

ფილიპე მახარაძე: სერგო! კნუნიანცისთანა კაცები ჯუღაშვილისთანა კაცებს ვერ მოატყუებენ. მე ვგრძნობ ამ საქმიდან ლენინიც თავს დაიძვრენს და კნუნიანციც, ჩვენ კი ცუდი დღე დაგვადგება. მე წავედი (*გადის*).

სერგო ორჯონიკიძე (*თავისთვის ჩაილაპარაკებს*): თუ ეს დავალება არ შევასრულე, ლენინს ვერასდროს დავუახლოვდები, ვინ ჩამაგდებს მე კაცად, ვის რაში ვჭირდები! მთელი ცხოვრება ფილიპეს ჩრდილში უნდა გავატარო? (*გადის*).

მეათე სცენა

თბილისი. მეფისნაცვლის სასახლე.
კაბინეტში სხედან მეფისნაცვალი გრაფი
ვორონცოვ-დაშკოვი და თბილისის
გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს
უფროსი პოლკოვნიკი პასტრულინი.
დრო: 1907 წლის ივნისის მიწურული.

პასტრულინი: თქვენო მაღალაღმატებულებავ! რეგლამენტის მიხედვით, მოსახსენებელი საკითხი წერილობით უნდა წარმომედგინა. მიუხედავად ამისა, გავკადნიერდი და აუდიენცია გთხოვეთ.

ვორონცოვ-დაშკოვი: ბატონო პოლკოვნიკო! თუ საქმისათვის ასე სჯობს, მე ყურადღებით გისმენთ.

პასტრულინი: თქვენო მაღალაღმატებულებავ! სუბორდინაცია მოითხოვდა თქვენამდე თბილისის სამხედრო გუბერნატორი ჩამეყენებინა საქმის კურსში, მანამდე კი პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტისათვის უნდა გამეგზავნა დაწვრილებითი ანგარიში. არც ერთი ეს არ გამიკეთებია.

ვორონცოვ-დაშკოვი (*დაინტერესდება*): ბატონო პოლკოვნიკო! თქვენი ერთგულება ტახტისადმი, პატიოსნება და პროფესიონალიზმი მაფიქრებინებს, რომ სუბორდი-

ნაცია გამოუვალი მდგომარეობის გამო დაარ-
ღვიეთ. გისმენთ!

პასტრულინი: თბილისის გუბერნიის ჟან-
დარმერიის სამმართველოსა და ოხრანკაში
ბოლო კვირეების მანძილზე შემოვიდა დიდი
რაოდენობით სანდო აგენტურული თუ სხვა
ხასიათის მასალა. ამ მასალის ანალიზს მივყა-
ვართ დასკვნამდე: ადამიანები, რომლებიც
რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარ-
ტიას მიეკუთვნებიან, სახელმწიფო საბჭოს
წევრის, თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობას
ამზადებენ. მთელი აგენტურული მასალა ჯერ-
ჯერობით ჩემს სამუშაო კაბინეტში სეიფშია
ჩაკეტილი. მიუხედავად ამისა, მე ვერ მოგ-
ცემთ გარანტიას, რომ ამ მასალის ნაწილი რა-
იმე გზით არ მოხვდება პეტერბურგში. მოგეხ-
სენებათ, ოხრანკა ინფორმაციის გაგზავნას მე
არ მითანხმებს. გთხოვთ, მიბრძანოთ: როგორ
ვიმოქმედო?

ვორონცოვ-დაშკოვი (*ცუდ ხასიათზე და-
დგა*): ცუდ საქმეში მიპირებთ გახვევას, ბატო-
ნო პოლკოვნიკო! კანონით, სახელმწიფო საბ-
ჭოს წევრის სიცოცხლის დაცვა თბილისის
სამხედრო გუბერნატორსა და თბილისის გუ-
ბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ევა-
ლება. მე რა შუაში ვარ?

პასტრულინი: თქვენო აღმატებულებავ! მე შემიძლია დღესვე დავაპატიმრო რამდენიმე ათეული კაცი და თავად ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეც დაცული იქნება. სამხედრო გუბერნატორს შეუძლია გაძლიერებული დაცვა დააყენოს ჭავჭავაძის სახლთან თბილისში და საგურამოში, დაიცვას სახელმწიფო საბჭოს წევრის გადაადგილების ყველა მარშრუტი.

ვორონცოვ-დაშკოვი: მერე რა გიშლით ხელს? იმოქმედეთ!

პასტრულინი: ჯერ კიდევ 1905 წელს, თქვენს ჩამობრძანებამდე, პოლიციის დეპარტამენტისაგან მიღებული იქნა სრულიად არაორაზროვანი ცირკულიარი: ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ და წავახალისოთ ყველა ძალა, მათ შორის, თავისი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით ცნობილი ძალებიც, რომლებიც, უპირისპირდებიან ქართველ ავტონომისტებს და ავტოკეფალისტებს. თავადი ილია ჭავჭავაძე ავტონომისტთა იდეური ბელადია, ამავე დროს, თავგამოდებით იცავს ავტოკეფალისტებს. სოციალ-დემოკრატები უკვე დიდი ხანია ღიად ებრძვიან ავტონომისტებსა და ავტოკეფალისტებს. ჩვენ ამ ბრძოლას ყოველნაირად ვუწყობთ ხელს. სოციალ-დემოკრატია სადღეისოდ წარმოადგენს ერთადერთ ძალას, რომელსაც ძალუძს წინ აღუდგეს ავტონომის-

ტებსა და ავტოკეფალისტებს – იმპერიისათვის ამ მეტად არასასურველ და საშიშ მოძრაობას. დასკვნა ასეთია: თუ საიმედოდ დავიცავთ თავად ილია ჭავჭავაძეს, ამით ხელს შევუწყობთ ავტონომისტებისა და ავტოკეფალისტების გაძლიერებას, ამ მოძრაობის აღმავლობას. ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება ხსენებულ ცირკულიარს.

ვორონცოვ-დაშკოვი: თქვენ მიერ ხსენებული ცირკულიარის შესახებ მეც ვიცი, მისი შინაარსი ჯერ კიდევ პეტერბურგში გამაცნეს. ცირკულიარში საეჭვო და გაუგებარი არაფერია. თავსატეხია მხოლოდ ერთი რამ: ეხება თუ არა ცირკულიარი სახელმწიფო საბჭოს წევრს?

პასტრულინი: სწორედ ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად გეახელით, თქვენო მაღალაღმატებულებავ!

ვორონცოვ-დაშკოვი: იქნებ აჯობებდა საქმის კურსში ჩაგვეყენებინა თბილისის სამხედრო გუბერნატორი?

პასტრულინი: აზრი არა აქვს! სამხედრო გუბერნატორს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ევალება. პასუხი ჩვენ უნდა გავცეთ, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ: დავიცვათ თუ არა ილია ჭავჭავაძე?

ვორონცოვ-დაშკოვი: ვერც იმპერატორს და ვერც სახელმწიფო კანცელიარიას მე ამ კითხვით ვერ მივმართავ. ეს არ არის ჩემი მოვალეობა. ესეც რომ არ იყოს, ასეთ საკითხზე საიდუმლო მიმოწერის წარმოებაც კი არ შეიძლება.

პასტრულინი: სწორი ბრძანებაა! ამ საკითხზე მიმოწერის გამართვა არ შეიძლება. ვერც მე გავრისკავდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს კიდეც რომ მივწერო ან პასუხს არ მაღირსებენ, ან ძველ ცირკულიარზე მიმითითებენ.

ვორონცოვ-დაშკოვი: აბსურდულ ვითარებაში აღმოვჩნდით, ბატონო პოლკოვნიკო! ერთი მხრივ, პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარი თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორთა წახალისებას გვავალებს; მეორე მხრივ, კანონი სახელმწიფო საბჭოს წევრის დაცვას მოითხოვს. გულახდილად გეტყვით: ყველა შემთხვევაში მე და სამხედრო გუბერნატორი ამ საქმიდან მშრალად გამოვალთ, თქვენ, ბატონო პოლკოვნიკო, შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ! კარგად დაფიქრდით, იქნებ მაინც აჯობებდა პოლიციის დეპარტამენტის საქმის კურსში ჩაყენება?

პასტრულინი: აზრი არა აქვს! თუნდაც იმიტომ, რომ დრო აღარ ითმენს.

ვორონცოვ-დაშკოვი: რას გულისხმობთ?

პასტრულინი: ჩვენი აგენტებისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობა შეიძლება მანამ მოხდეს, სანამ პეტერბურგიდან ჩემი შეკითხვის პასუხს მივიღებ, თუ პასუხი საერთოდ მივიღე.

ვორონცოვ-დაშკოვი: კარგით, რა კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ?

პასტრულინი: მკვლელობა ემიგრაციიდან დაუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ. ლენინის წერილი თბილისში ბოლშევიკმა ბოგდან კნუნიანცმა ჩამოიტანა. კნუნიანცმა მკვლელობის ორგანიზება ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს დაავალა. კნუნიანცმა ორივე გააფრთხილა: მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს რსდმპ თბილისის კომიტეტმა, რათა ეჭვი რსდმპ ცენტრალურ კომიტეტზე არ აიღონ. ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ დაფინანსების წყაროს. ტერორისტიც თბილისის კომიტეტის გვერდის ავლით შეარჩიეს. მკვლელობის შემთხვევაში ვერც დამკვეთს ვიპოვით და ვერც დამფინანსებელს, მხოლოდ ეჭვების საფუძველზე კი ვერავის დააპატიმრებ. უფრო მეტიც, აგენტურული მასალის ანალიზით ცხადი ხდება, რომ თავად ჭავჭავაძის მკვლელობისათვის ამზადებენ გლეხთა ჯგუფს, რომელთა

შორის ერთი ჩვენი აგენტიცაა. ჩვენს აგენტს ინფორმაციას აწვდის თავადის მეეტლე თედო ლაბაური. მკვლელობისათვის შერჩეული გლეხები ზედგამოჭრილნი არიან ამ საქმისათვის – უკან არაფერზე დაიხევენ, ამავე დროს, კარგი მსროლელებიც არიან. თავადის მოკვლა შეიძლება ყველგან: გზაზე, სახლის ეზოში ან აივანზე. ამიტომ გაუგებარია, გლეხების ჯგუფის გარდა, მათგან დამოუკიდებლად, რატომ ამზადებენ კიდევ ერთ ტერორისტს. ჩემთვის გაუგებარია, ვინ მოკლავს ილია ჭავჭავაძეს: გლეხები თუ მარტოდ მოქმედი ტერორისტი, რამდენიმე კვირაა სოციალ-დემოკრატები ხმებს ავრცელებენ: მალე გლეხები ილია ჭავჭავაძეს მოკლავენო.

ვორონცოვ-დაშკოვი: ბატონო პოლკოვნიკო, ორი კვირის წინ თბილისში ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის კვალს თუ მიაკვლიეთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ფულიდან დაფინანსდება თავად ჭავჭავაძის მკვლელობაც და კიდევ სხვა ტერორისტული აქტები, იქნება ჩემი ან თქვენი მოკვლაც უნდათ სოციალ-დემოკრატებს? ამ ფულით უამრავი ტერორისტური აქტი შეიძლება დაფინანსდეს. სასწრაფოდ უნდა იპოვოთ ფული!

პასტრულინი: ჩვენი ინფორმაციით ფული სოციალ-დემოკრატებს არ გაუტაცნიათ, ესე-

რებზე მიდის კვალი. სამი დღის წინ ბაქოდან თბილისში დაბრუნდა სოციალ-დემოკრატი ჯუღაშვილი. ჩვენმა აგენტმა კვალი დაკარგა, არ ვიცით, სად ცხოვრობს ჯუღაშვილი. სამაგიეროდ, ვიცით, რომ ბოლშევიკი კამო შეხვდა ფულის გატაცების ერთ-ერთ ორგანიზატორს ესერთა პარტიიდან და მას შემდეგ ორი დღეა გამწარებული დაეძებს იოსებ ჯუღაშვილს. ჯუღაშვილი ბაქოდან ფულის გატაცების შემდეგ ჩამოვიდა, ფულის გატაცებასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ, ცხადია, იგი რაღაცაში დასჭირდათ ესერებს.

ვორონცოვ-დაშკოვი: ამ ფულის საქმე სასწრაფოდ უნდა გაირკვეს. ის მაინც უნდა გავიგოთ, რომელი პარტიის ხელში მოხვდება.

პასტრულინი: ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეს ფული ტერორისტული აქტის დასაფინანსებლად არ იქნას გამოყენებული!

ვორონცოვ-დაშკოვი: იმპერატორი, რომლის ნაცვალიც მე ვარ კავკასიაში, მთელი არსებით წინააღმდეგია ყოველგვარი ტერორისა. მით უმეტეს, იგი ვერ შეურიგდება სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობას, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა. ილია ჭავჭავაძე შემჩნეული არ ყოფილა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში და რომც იყოს, დასკვნები პეტერბურგში უნდა გააკეთონ და

არა თბილისში. სანამ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრია მისი დაცვა იმპერიის ღირსების საქმეა, იმპერიის ღირსებას კი კავკასიაში მე ვიცავ.

პასტრულინი: მაშინ მიბრძანეთ მეც და თბილისის სამხედრო გუბერნატორსაც და ჩვენ დავიცავთ სახელმწიფო საბჭოს წევრს!

ვორონცოვ-დაშკოვი: თქვენ ბრძანება უნდა მიიღოთ პოლიციის დეპარტამენტისაგან, ხოლო თბილისის სამხედრო გუბერნატორმა – სამხედრო მინისტრისაგან. არ დაგიმალავთ და გულახდილად გეტყვით: თუ ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, თქვენ პასუხს აგებთ იმპერატორის წინაშე; თუ თქვენ ხელი შეუშალეთ ჭავჭავაძის მკვლელებს, თქვენ პასუხს აგებთ პოლიციის დეპარტამენტის წინაშე. არჩევანი თქვენ უნდა გააკეთოთ. მე სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენი საუბრის შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებს. სამწუხაროდ, მეტის გაკეთება არ შემიძლია.

პასტრულინი: თქვენო მაღალაღმატებულებავ! თუ თქვენ ჩვენი საუბრის შინაარსის საიდუმლოდ დაცვის პირობას მაძლევთ, მე შევასრულებ პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარს!

ვორონცოვ-დაშკოვი: კეთილი, შეასრულეთ.

პასტრულინი: ნება მიბოძეთ დაგტოვოთ!

ვორონცოვ-დაშკოვი: მოითმინეთ! დავუშვათ რომ სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძე მოკლეს. თქვენ გაქვთ გარანტია იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები მკვლელობას ხელისუფლებას, იგივე უანდარმერიას და ოხრანკას არ გადააბრალებენ?

პასტრულინი: სოციალ-დემოკრატებისთანა გახრწნილი ადამიანებისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. თუმცა ჯერჯერობით გავრცელებული ხმების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მოკვლას, თითქოს, გლეხები აპირებენ. გამორიცხული არ არის, რომ სოციალ-დემოკრატებს უკვე ისიც აქვთ მოფიქრებული, თუ როგორ უნდა გადმოგვაბრალონ მკვლელობა ჩვენ.

ვორონცოვ-დაშკოვი: რა გზით უნდა დავიცვათ თავი? პეტერბურგში ხელისუფლების კომპრომეტაციას არ გვაპატიებენ.

პასტრულინი: კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. თუ თავადი ჭავჭავაძე მართლაც მოკლეს, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როდის, როგორ და რა ვითარებაში განხორციელდება ტერორისტული აქტი. მე ძალზე მაფიქრებს, მკვლელობაში გაწაფული და თავზეხელაღებული გლეხების ჯგუფის გარდა და მათგან ფარულად რატომ ამზადებენ კიდევ ერთ ტერორისტს. ამ ტერორისტს

დიდ ფულს დაჰპირდნენ, დიდი ფულს კი სოციალ-დემოკრატები უბრალოდ არ ფლანგავენ.

ვორონცოვ-დაშკოვი: ბატონო პოლკოვნიკო! დიდი თავსატეხი გამოჩინეთ. თუ მკვლელობა მართლაც მოხდა, ვგრძნობ, სოციალ-დემოკრატები ყველაფერს ჩვენ გადმოგვაბრალებენ. თავი რომ დავიცვათ, მოგვიწევს იმისი აღიარება, რომ მკვლელობას სოციალ-დემოკრატები ამზადებენ და მათვე განახორციელეს. თუ ეს ვაღიარეთ, მაშინ ბუნებრივად დაისმება კითხვა: რატომ არ დავიცავით სახელმწიფო საბჭოს წევრი? ამ კითხვაზე კი პასუხი თქვენ უნდა გასცეთ. იფიქრეთ, პასუხი დამაჯერებელი უნდა იყოს!

პასტრულინი: ყველაფერი გასაგებია! ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ (*პასტრულინი თავს დაუკრავს და გადის*).

მეთერთმეტე სცენა

თბილისი. ხარფუხი. კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან: იოსებ ჯუღაშვილი და სიმონ ტერ-პეტროსიანცი (კამო). დრო: 1907 წლის ივნისის მეორე ნახევარი.

(იოსებ ჯუღაშვილი ამრეზილია. ალმაცერად უყურებს კამოს).

კამო: როდის ჩამოხვედი ბაქოდან?

იოსებ ჯუღაშვილი: შენ რა იცი, საიდან ჩამოვედი? საქმეზე ილაპარაკე! რამდენჯერ გითხარი: შენ ნუ მეძებ, თუ საჭირო იქენი, მე თვითონ გიპოვნი-თქო?

კამო: სასწრაფო საქმეა, კობა! გადადება არ იქნებოდა!

იოსებ ჯუღაშვილი: ამოღერღე!

კამო: გაიგებდი, ესერებმა ერევანსკის მოედნიდან ხაზინის ფული გაიტაცეს, დიდი ფული.

იოსებ ჯუღაშვილი: ვინ გაიტაცა?

კამო: სარქის ოთაროვი იყო და კიდევ ექვსნი.

იოსებ ჯუღაშვილი: ოთაროვს შენი ჭკუა აქვს, მაგრამ შენ ის მაინც გასწავლე, რომ ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას სულელის მეტი ვერ გაბედავს. ხომ ასეა?

კამო: მაშ!

იოსებ ჯუღაშვილი: შენ ვინ გითხრა, რომ ოთაროვი ხელმძღვანელობდა ფულის გატაცებას?

კამო: მთელი ქალაქი ამას ლაპარაკობს!

იოსებ ჯუღაშვილი: მთელი ქალაქი რომ ლაპარაკობდეს, სიმონ ტერ-პეტროსიანცი მეფისნაცვლად დანიშნესო, დაიჯერებ?

კამო: ვაჰ!

იოსებ ჯუღაშვილი: სანდო წყარო უნდა იყოს, რამდენჯერ გითხარი?

კამო: პოლიცმეისტერსთან ხომ არ მივიდოდი და ვკითხავდი?

იოსებ ჯუღაშვილი: მორჩი! რამდენჯერ უნდა აგიხსნა, როგორ უნდა გაიგო, ამბავი ნამდვილია თუ არა?

კამო: ესერებმა ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამალეს. 20 ტერორისტი დარაჯობს იმ ფულს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცის, მაგრამ სისხლისღვრას ერიდება, ტერორისტებს რამდენიმე ბომბიც აქვთ, სროლა რომ ატყდეს, მთელი ავლაბარი გადაიწვება. ძალიანაც რომ ეცადონ, ესერები ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანენ.

იოსებ ჯუღაშვილი: ხომ გითხარი, სულელია ეგ შენი ოთაროვი!

კამო: ნაღდად! ერევანსკის მოედანზე სროლის დროს ცხენები დაფრთხნენ, ეტლმა პატარა ბავშვი გაჭყლიტა! თუ დაიჭირეს, ოთაროვს კატორღა არ ასცდება!

იოსებ ჯუღაშვილი (*გამოცოცხლდება*): სულელი კი ხარ, მაგრამ შენზე უკეთ მაგ საქმეს ვერავინ გააკეთებს!

კამო: რა ვქნა? დავეთანხმო?

იოსებ ჯუღაშვილი: ფულის გატანის გეგმა შენი შეთავაზებული უნდა იყოს. თუ ესერების გეგმით იმოქმედე, იცოდე, ფულს გაგატანინებენ და მერე მაგ სულელ თავსაც გაგიხვრეტენ, შენ დიდ გასამრჯელოს ვინ მოგცემს?

კამო: ვაჰ!

იოსებ ჯუღაშვილი: შეიძლება არ მოგკლან, მაგრამ ფულს ნამდვილად არ მოგცემენ!

კამო: ვაჰ!

იოსებ ჯუღაშვილი: შენთვის სულ ერთია: გინდ ფული არ მოუციათ და გინდ მოუკლიხართ. ხომ ასეა?

კამო: რო შევეშვა მაგ საქმეს?

იოსებ ჯუღაშვილი: არავითარ შემთხვევაში! დღეიდან ეს ფული ესერებს რომ ჟანდარმერიამ წაართვას, შენ გაეხვევი შარში. მიდი და უმტკიცე მერე ესერებს, რომ ჟანდარმერიის აგენტი არა ხარ, უეჭველად მოგკლავენ.

კამო: ე რა ხათაბალაში გავეხვიე! კიდევ კარგი, რომ შენ ჩამოხვედი!

იოსებ ჯუღაშვილი: მისმინე! ოთაროვს ხომ კარგად იცნობ?

კამო: ერთად არ გავზრდილვართ, მაგრამ კარგად ვიცნობ.

იოსებ ჯუღაშვილი: ოთაროვს ნახავ და ასეთ გეგმას შესთავაზებ: უნდა გაითამაშოთ ქორწილი. შენ ნეფე იქნები, დედოფალს ესერები მოძებნიან. იცოდე ის ქალი ტერორისტი იქნება და შენ ყოველ ნაბიჯს გააკონტროლებს. იქნება შენი მოკვლაც უბრძანონ! მატარებლით ჩახვალთ ბათუმამდე, ბათუმიდან გემით, სადაც გნებავთ, ევროპის რომელ ქვეყანაშიც გინდათ. შენ პასპორტი არა გაქვს, რომც გქონდეს, შენი პასპორტით წასვლა არ შეიძლება.

კამო: რატომ?

იოსებ ჯუღაშვილი: რატომ და საბაჟო უნდა გაიაროთ. ეგ საქმე ოდესმე გასკდება და დაგიჭერენ. თუ ესერებმა არ მოგკლეს, ციმბირში გიკრავენ თავს. საბაჟო სხვისი პასპორტით უნდა გაიარო. იცი, პასპორტი სად უნდა მოიპარო?

კამო: ბაზარში!

იოსებ ჯუღაშვილი: მთელ ბაზარში ათ კაცს არ ექნება პასპორტი ჯიბეში, მთელ

ბაზარს ხომ არ გაჩხრეკ? გარდა ამისა, შენ უცხოელის პასპორტი გჭირდება.

კამო: მა რა ვქნა?

იოსებ ჯუღაშვილი: უცხოელები გოგირდის აბანოში დადიან ხშირად. იქ უნდა მოიპარო პასპორტი, თანაც ტანსაცმელთან ერთად, ვითომ ჩვეულებრივმა ქურდმა მოიპარა.

კამო: ადვილი საქმეა! წავიდე?

იოსებ ჯუღაშვილი: სად უნდა წახვიდე? კარგად მისმინე! გემიდან ჩახვალ თუ არა, იმ შენს დედოფალს უნდა დაუსხლტე ხელიდან. ფრთხილად იყავი, შეიძლება სხვა ვინმეც გითვალთვალებდეს, თუ რაიმე შეგატყვეს, იქვე მოგკლავენ!

კამო: ვა! რა შარში გავეხვიე, კაცო! ო, ეგ სარქისა ოთაროვი მომცა ახლა აქა!

იოსებ ჯუღაშვილი: შენს დედოფალს რომ დაუძვრები, თუ იცი, მერე სად უნდა წახვიდე, ვის უნდა მიუტანო ფული?

(*კამო გაშტერებული იყურება, დაბნეულია, არ იცის, რა უპასუხოს, ხმას ვერ ილებს*).

იოსებ ჯუღაშვილი: ჰა, ასე იფიქრე ხომ: იმ ფულს უკან წამოვიღებ, დავჯდები და სიკვდილამდე ფეხი ფეხზე გადადებული ვიცხოვრებო! სარქისას არ გაუყოფდი?

კამო: სარქისასა?

იოსებ ჯუღაშვილი (*იცინის*): ფული ჟენევაში უნდა მიუტანო ლენინს და პირადად ჩააბარო მას. ჟენევის მისამართს წასვლისას სადგურზე გადმოგცემს ჩემი კაცი, არსად ჩაიწერო, ზეპირად უნდა დაიმახსოვრო. ჟენევაში შენს წილ ფულს მოგცემენ, ახალ პასპორტსაც მოგცემენ, სასწრაფოდ დაბრუნდი თბილისში. ეგ მოპარული პასპორტი დახიე და გადააგდე. საზღვარგარეთ ხეტიალი არ დაიწყო, მაშინვე დაბრუნდი თბილისში.

კამო: მერე სარქისამ რომ მკითხოს ფული სად წაიღეო?

იოსებ ჯუღაშვილი: ეგ შენი სარქისა მანამდე ციმბირში იქნება. მის ტერორისტებს კი ეგ ფული ფეხებზე ჰკიდიათ, იმათ თავის წილი უკვე მიღებული ექნებათ. შენ აღარავის გაახსენდები, ბოლშევიკები და ესერები მორიგდებიან!

კამო (*დაფიქრებული*): წავიდე?

იოსებ ჯუღაშვილი: წადი და ჩემთან მოსვლა აღარ გაბედო, მე თვითონ მოგძებნი (*კამო გადის*).

იოსებ ჯუღაშვილი (*მარტო რჩება, დაფიქრდება და ჩაილაპარაკებს*): ეს საქმე ზედგამოჭრილია ამისთანა რეგვენისათვის. ვერც კი ხვდება, რა შარში გაეხვა. აბანოში პასპორ-

ტის მოპარვასა და საზღვარგარეთ ფულის გატანას შორის განსხვავებას ვერ ხედავს. თუ სიხარბემ არ დაღუპა, გააკეთებს ამ საქმეს.

მეთორმეტე სცენა

სოფელი ქართლში, თბილისის მახლობლად. თავად კონსტანტინეს სახლის აივანი. აივანზე ზის თავადი, კიბეზე ამოდის სოფლის მასწავლებელი ექვთიმე. დრო: 1907 წლის სექტემბრის დამდეგი.

კონსტანტინე: რა ამბავია, ექვთიმე, რატომ დაბრუნდით, ხომ არაფერი დაგრჩათ?

ექვთიმე (*დაბნეული, შეწუხებული*): ცუდი, ძალზე ცუდი, საშინელი, დაუჯერებელი ამბავი მოხდა!

კონსტანტრნე: რა ამბავია, რა მოხდა? თქვი, ნუ ამომხადე სული!

ექვთიმე (*გაზეთს მიაწვდის*): აი, გაზეთი, თავად წაიკითხეთ!

კონსტანტინე (*გაზეთს უკან დაუბრუნებს*): სათვალე არა მაქვს, თავად წამიკითხე.

ექვთიმე (*ხმის კანკალით კითხულობს*): „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე".

კონსტანტინე (*სკამზე დაეშვება*): ვაი, შენ, საქართველოვ! ვაი, შენ, უპატრონოდ დარჩენილო საქართველოვ! ვაი, შენ, უსასოდ დარჩენილო ქართველო! (*ორივენი პირჯვარს ისახავენ*).

(*ფარდა*)

პირველი მოქმედების დასასრული.

მეოთხე თავი

პირველი სცენა

თბილისი. მეფისნაცვლის სასახლე.
კაბინეტში სხედან: მეფისნაცვალი გრაფი
ვორონცოვ-დაშკოვი, თბილისის სამხედრო
გუბერნატორი გენერალი ტიმოთეევი,
თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის
სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი
პასტრულინი. დრო: 1907 წლის 1 სექტემბერი

ტიმოთეევი: თქვენო მაღალაღმატებულებავ, ბატონო პოლკოვნიკო! დღეს იმპერატორის კანცელარიიდან მივიღე ტელეგრამა. პეტერბურგში სასწრაფოდ უნდა გავაგზავნო ტელეგრამა სახელმწიფო საბჭოს წევრის, თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე. ამ ტელეგრამას გაეცნობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა. უნდა შევთანხმდეთ ტელეგრამის ტექსტზე.

ვორონცოვ-დაშკოვი: როგორი იქნება თქვენი აზრი? ხელს ტელეგრამას თქვენ მოაწერთ და ალბათ უკვე გაქვთ ტელეგრამის თქვენი ვარიანტი.

ტიმოთეევი: ვაპირებ ასეთი შინაარსის ტელეგრამის გაგზავნას (*კითხულობს*): „30 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხი ვერსის მოშორებით ოთხმა ბოროტმოქმედმა ცეცხლ-

სასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მსახური, თოფის კონდახის დარტყმით თავში ჭრილობა მიაყენეს თავადის მეუღლეს. გვამები გაძარცულია. მიღებულია საგანგებო ზომები. სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს სოციალ-დემოკრატებისაგან წაქეზებულმა ადგილობრივმა გლეხებმა. ძარცვა სიმულირებულია".

ვორონცოვ-დაშკოვი: რას იტყვით, ბატონო პოლკოვნიკო?

პასტრულინი: თუ თავადი სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, და ეს ნამდვილად ასეა, მაშინ მკვლელობის მოტივი პოლიტიკურია. ჩემი აზრით, ტელეგრამაში მკვლელობის მოტივის მინიშნება აუცილებელია. მაგრამ უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ძიება სოციალ-დემოკრატებს, ალბათ, ვერაფერს დაუმტკიცებს. არა მგონია, ტერორისტთაგან ვინმემ იცოდეს მკვლელობის დამკვეთის ვინაობა. თუ ვინმე ასეთია, მას სოციალ-დემოკრატები ან ახლავე მოკლავენ ან საქმის ძიების პროცესში, ჩვენების მიცემამდე. ბოლოს ხელში შეგვრჩება სამი თუ ოთხი ყეყეჩი მკვლელი. ამიტომაც, ჩემი აზრით, ტელეგრამიდან უნდა ამოვიღოთ სოციალ-დემოკრატებზე მინიშნება. დანარჩენი დარჩეს უცვლელად.

ვორონცოვ-დაშკოვი: ბატონო პოლკოვნიკო, თქვენი წინადადება ორ საშიშროებას შეიცავს. პირველი, თუ მკვლელობის ორგანიზატორებად სოციალ-დემოკრატები არ გამოვაცხადეთ, შეიძლება სოციალ-დემოკრატები აქეთ შემოგვიბრუნდნენ და ყველაფერი ხელისუფლებას გადააბრალონ; მეორე, თუ მკვლელობის მოტივი პოლიტიკური არ იყო, მაშინ მოტივი აგრარული ყოფილა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ძარცვაზე აღარ ვსაუბრობ, ამას არავინ დაგვიჯერებს.

ტიმოთეევი: არ მესმის, რატომ უნდა დავაფაროთ ხელი სოციალ-დემოკრატებს, თუ ჟანდარმერიას ეჭვი არ ეპარება, რომ თავადი ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს?

პასტრულინი: მე არ მითქვამს, ხელი დავაფაროთ-მეთქი. მე მოგახსენეთ იმის თაობაზე, რომ ძიება, ალბათ, სოციალ-დემოკრატებს, ვერაფერს დაუდასტურებს. არ მინდა ტელეგრამაში მოხვდეს ისეთი რამ, რასაც შემდეგ ძიება და სასამართლო ვერ დაამტკიცებს.

ვორონცოვ-დაშკოვი: თავად ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება და სასამართლო დიდხანს გასტანს, იმედია, ჩვენი ტელეგრამა აღარავის გაახსენდება. ესეც არ იყოს, ჩვენ განაჩენი ხომ არ გამოგვაქვს. ვფიქრობ, მკვ-

ლელობის ორგანიზატორებად სოციალ-დემოკ-
რატების გამოცხადება აუცილებელია, პოლი-
ტიკური მოტივის ხაზგასმა არ არის საჭირო,
ეს ისედაც ნათელია. პეტერბურგში, უპირვე-
ლეს ყოვლისა, მკვლელობის დამკვეთი აინტე-
რესებთ და არა წვრილმანი ამბები.

ტიმოთეევი: გეთანხმებით, იმპერატორის
კანცელარიაში თვით მკვლელობის ფაქტი უკვე
იციან. აინტერესებთ მკვლელობის დამკვეთი.
ამიტომაც ამ საკითხს ჩვენ გვერდს ვერ ავუვ-
ლით.

ვორონცოვ-დაშკოვი: სავსებით გეთან-
ხმებით!

პასტრულინი: ტელეგრამაში გატარებულ
აზრს მე ავსახავ ჩემს მოხსენებაში პოლიციის
დეპარტამენტისადმი. თუ თქვენი თანხმობა
იქნება, იმასაც მივანიშნებ, რომ ძიებას გაუ-
ჭირდება რაიმე დაუმტკიცოს სოციალ-დემოკ-
რატებს.

ვორონცოვ-დაშკოვი: კარგი იქნება. და-
ნარჩენს ძიება გვიჩვენებს. გმადლობთ, რომ
მობრძანდით.

*(გენერალი ტიმოთეევი და პოლკოვნიკი
პასტრულინი თავს დაუკრავენ და გადიან).*

ვორონცოვ-დაშკოვი *(მარტო დარჩენილი)*:
ჭკვიანი კაცია პოლკოვნიკი პასტრულინი. სო-
ციალ-დემოკრატებს თავად ჭავჭავაძის მკვ-

ლელობას ძიება ვერ დაუმტკიცებს, ამჯერადაც თავს დაიძვრენენ. დასჯიან ტერორისტებს და ამით დამთავრდება ყველაფერი.

მეორე სცენა

თბილისი. მთაწმინდა. სამგლოვიარო მიტინგი დასაფლავების წინ. ილიას კუბო არ ჩანს. ხალხი ზურგით დგას სცენისაკენ. სცენის სიღრმიდან გარკვევით ისმის გამომსვლელთა ხმები. დრო: 1907 წლის 9 სექტემბერი.

(სცენაზე წინ დგას ორი შუახნის ინტელიგენტი და რამდენიმე გიმნაზიელი. ცოტა მოშორებით ახალგაზრდა მღვდელი და ხანშიშესული თავადი. აქეთ-იქით აწყდება ახალგაზრდა მუშა, თან ყველას ყურს უგდებს).

პირველი ინტელიგენტი: ამ დღესაც მოვესწარით! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქართველმა ერთმა ვერ გააცნობიერა ვინ მოუკლეს, ვის ასაფლავებს.

მეორე ინტელიგენტი: ვერ დაგეთანხმები, აი, ნახე, რას წერს გაზეთი „ისარი“ (*კითხულობს*): „ილიას სახელი კი დარჩება, სანამ ქართველი ხალხი იქნება დედამიწის ზურგზე, რადგან მან ხალხის სამსახურს შესწირა დღენი

და თვით თავისი სიცოცხლეც მსხვერპლად მიუტანა თავის საყვარელ სამშობლოს...“

მუშა: ჭავჭავაძის გამოზრდილი ლეკვი იქნება მაგის დამწერი. ილიამ რაც დაიმსახურა ის მიიღო, ყველას ეს დღე ელის ვინც ვერ გაიგებს, რომ მომავალი სოციალიზმისაა...

თავადი: ხმა ჩაიწყვიტე! პირი დაგებანა და ისე მოსულიყავი ამ წმინდა ადგილას. რას ერჩოდით ილიას, ბნელეთის მოციქულებო (*თავადი ხანჯლის ამოღებას აპირებს, მღვდელი წინ გადაუდგება, აჩერებს*).

გიმნაზიელი (*მეგობარს*): მოდი, ვცემოთ ეს მოღალატე, გავაძევოთ აქედან. ვერ იცანი ეს მუშა? ისაა, გუშინ გიმნაზიაში რომ მოვიდა და აგიტაციას გვიწევდა: ილიას დასაფლავებაზე ნუ წახვალთო!

მღვდელი: ნუ იზამთ ამას, შვილებო! ილიას ხსოვნას ეცით პატივი! როგორც სჩანს ეგ საცოდავი იმისთვისაა აქ გამოგზავნილი, რომ შფოთი და ჩხუბი ატეხოს!

პირველი ინტელიგენტი: სწორი ბრძანებაა, მამაო! ნუ იზამთ ამას, ბიჭებო (*გიმნაზიელები დამშვიდდებიან*).

თავადი: ჩუმად, მგონი სამგლოვიარო მიტინგი დაიწყო!

მუშა: უსმინეთ, უსმინეთ, აი, ნახეთ, რას იტყვის კარლო ჩხეიძე, გაიგეთ, რასაც წარმო-

ადგენდა ეგ თქვენი ილია! (*მუშა ხალხს შეერევა*).

(*ისმის გამომსვლელთა ხმები*).

გიმნაზიელი (*შემაღლებულ ადგილზე დგას*): იაკობ გოგებაშვილს მისცეს სიტყვა!

იაკობ გოგებაშვილი: ჩვენს უნიჭიერეს პოეტსა და დიდ მამულიშვილს ახლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა...

თავადი: აფერუმ შენს კაცობას, იაკობ!

გიმნაზიელი: ვილაც ქართველი ქალი გამოდის, ვინაა ვერ ვიცანი, ჩუმად!

ქართველი ქალი: ილია მოჰკლეს, მოჰკლეს ილია! გესმით, ქართველნო?! ილია მოჰკლეს, მხეცთ დაგვინგრიეს ტაძარი დიდი, სისხლით შესვარეს, წამების გვირგვინი არგეს ჩვენს სადიდებელ მოძღვარ-მგოსანსა! ილია მოჰკლეს, გული გაუპეს, წაგვართვეს, მოსპეს ჩვენი სიმდიდრე, ამპარტავნება...

მეორე ინტელიგენტი (*მეგობარს*): აკი გითხარი, არც ეგრეა საქმე! ხომ გესმის, გაიგო ქართველმა ერმა, ვინც მოუკლეს!

გიმნაზიელი: დიდუბის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი, მამა ნიკიტა თალაკვაძე ამბობს სიტყვას!

ნიკიტა თალაკვაძე: უკვდავების შვილო, შემცდარია ის აზრი, ვითომც ილია მკვ-

დარი იყოს! არვის ძალუძს იმის მოკვლა, იმისი მოსპობა, ვისაც ქართველი ერი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თვითცნობიერებაში მოჰყავდა...

მღვდელი (*თავადს*): უშიშარი ადამიანია მამა ნიკიტა: იცის რომ ამ სიტყვისათვის დიდი უკმაყოფილება შეხვდება, მაგრამ მაინც ისა თქვა, რასაც ფიქრობს!

გიმნაზიელი: სილოვან ხუნდაძეს მისცეს სიტყვა, ნეტავ რას იტყვის ჩვენი მასწავლებელი!

სილოვან ხუნდაძე: საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში! საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძემ თავისი მონამებრივი სიკვდილით თავისი დიდებული სახელი კიდევ უფრო გაადიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა! საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოჰკალით...

მუშა: სიჩუმე, სიჩუმე! კარლო ჩხეიძე ლაპარაკობს!

კარლო ჩხეიძე: ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის, თითქო ჩვენ ყველანი ერთნაირათ უყურებდეთ შენს ნარ-

სულს, ყველანი ერთ რიგათ ვცემდეთ პატივს და ვაფასებდეს შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელი ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს... ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას...

ინტელიგენტი (*მეგობარს*): აი, ხომ გესმის? ილიას კუბოსთან რომ ამას გაბედავს კაცი, ეს მარტო იმ კაცის სიგლახე არ არის, ეს მთელი ქართველი ერის სისუსტე და სიგლახეა!

(*სცენის სიღრმეში სამგლოვიარო მიტინგი ნელ-ნელა იშლება. სცენაზე რჩებიან თავადი, მღვდელი და ინტელიგენტი*).

თავადი: დამკრძალავ კომისიას არ უნდა მიეცა სიტყვა კარლო ჩხეიძისათვის. რასაც იტყოდა, ხომ იცოდნენ?!.

ინტელიგენტი: გეთანხმებით, თავადო! აქაც ქართული გულგრილობა და დაუდევრობა გამოვიჩინეთ! გინახავთ ან გაგიგიათ, რომ ცხედარს სამარეში ჩასვენების წინ აუგად იხსენიებდნენ?!

მღვდელი: მე სხვა რამ მაფიქრებს. დღეს აქ ცხადად გამოჩნდა, რომ საქართველო ორად არის გაყოფილი და გამწარებით ებრძვის ერთმანეთს. დიდ განსაცდელს გვიმზადებს

ჩვენ ეს ბრძოლა. ყოველივე ეს ეშმაკისაგანაა და ეშმაკი ხარობს, ამას რომ უყურებს. ხომ ნახეთ ის მუშა? ეშმაკი ბატონობს მასზე, ეშმაკი აბოროტებს მას! ხვალ ის მუშა იმაზე უარს იტყვის, რაც თქვა დღეს კარლო ჩხეიძემ. ილია იმიტომ მოკლეს, რომ იგი მთელი არსებით ებრძოდა საქართველოს ორად გაყოფას და ქართველთა შორის მტრობის ჩამოგდებას. ღმერთო! შენ დაიფარე საქართველო!

ინტელიგენტი: ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მამაო! საქართველომ შეიძლება ამ განსაცდელს გაუძლოს, მაგრამ რას იტყვის ის ქართველი, რომელიც ასი წლის შემდეგ კარლო ჩხეიძის სიტყვას წაიკითხავს?

თავადი: რას იტყვის და ყველა ქართველს ილიას მკვლელობის თანამონაწილედ გამოგვაცხადებს, გამოგვაცხადებს და მართალიც იქნება! (*მღვდელი ჯვარს გადასახავს. ყველანი გადიან*).

მესამე სცენა

სოფელი ქართლში, თბილისის მახლობლად. თავად კონსტანტინეს სახლი. დარბაზში სხედან თავადი კონსტანტინე, სოფლის მღვდელი იაკობი და სოფლის მასწავლებელი ექვთიმე. დრო: 1907 წლის სექტემბრის შუა რიცხვები.

კონსტანტინე: შვილო ექვთიმე! ძალიან კი დაგაგვიანდა, სამი დღის წინ გელოდით. ზოგიერთი რაიმე ჩვენ უკვე შევიტყვეთ გაზეთებიდან. ახლა შენ გვიამბე: რა მოხდა, როგორ დაკრძალეს ილია ჭავჭავაძე?

ექვთიმე: რა ვიცი, რა გითხრათ?

კონსტანტრნე: რა გვითხრა და როგორ შეატყვე: ვინ დაგვრჩა პატრონი, ვინაა ქვეყნის ჭირისუფალი ილიას შემდეგ? თუ ეგრე უპატრონოდ, უჭირისუფლოდ დავრჩით?

ექვთიმე: ტყუილი როგორ გაკადროთ, მაგრამ იმისი თქმაც მიჭირს, რომ უპატრონოდ დავრჩით. ეს გამოსჭვივოდა ძალიან ბევრი ადამიანის გამოხედვაში. მე ეს ვიგრძენი, როცა მამადავითიდან ქვემოთ ვეშვებოდით, ქალაქისაკენ.

კონსტანტინე: რას ამბობენ მაინც, ვინ მოკლა ილია?

ექვთიმე: ყველამ იცის, ვინც მოკლა: მეფისნაცვალმაც, სამხედრო გუბერნატორმაც, პოლიცმაისტერმაც და მაზრის უფროსმაც. ხმას კი ვერავინ იღებს, ყველა შეშინებულია. ილიას რომ მოკლავდნენ, ამის თაობაზე თურმე თვით ილიას შინამოსამსახურეებიც კი საუბრობდნენ.

მამა იაკობი: თვით ილიამ თუ იცოდა, რომ მოკვლას უპირებდნენ?

ექვთიმე: ეგრე ამბობენ იცოდაო, თუმცა იმ დღეს თბილისიდან საგურამოში გამგზავრებაზე ხელი მაინც არ აუღია.

კონსტანტინე: მაინც ვის ადებენ ხელს, ვინ მოაწყო მკვლელობა?

ექვთიმე: ეჭვიც არავის მეპარება, რომ სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს. ეტლი გზაზე გლეხებს გაუჩერებიათ, მაგრამ, ცხადია, ტერორისტები ვილაცამ მოამზადა.

კონსტანტინე: მამა იაკობ! რა გვეშველება, რა ეშველება ქვეყანას, გვეშველება კი რაიმე?

მამა იაკობი: თავადო! ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ილიაც სიკვდილის შვილი იყო. უბედურება ისაა, რომ ილიას სიკვდილით საქართველოს ისტორიის დიდი ეპოქა დამთავრდა – ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის ეპოქა. ანი რა

იქნება, ძნელი მისახვედრი არ არის. იბატონებენ ისინი, ვინც ილია მოკლა, ვისაც არა სწამს არც ღმერთი, არც ერი და არც სახელმწიფო. ულოცველთა ჟამი დგება საქართველოში – უზნეო ხალხის, ღვთის მგმობელთა ბატონობის ჟამი დგება. მათ წინ ვერავინ აღუდგება. ამ ორ-სამ წელში უამრავი მკვლელი გამოზარდეს. ეს მკვლელები დაეპატრონებიან საქართველოს. ამ საშინელ ძალას ჩვენ რა უნდა დავაკლოთ, თვით ხელისუფლება კრთის მის წინაშე. ესაა ღვთისაგან მოვლენილი სასჯელი, ილიას მკვლელებმაც და ჩვენც ეს დავიმსახურეთ!

კონსტანტინე: ჩვენ რათა? რით დავიმსახურეთ?

მამა იაკობი: იმით, რომ ათი-თორმეტი ნელი მდუმარედ შევყურებთ ილიას გზის მგმობელთა პარპაშს, თითქოს ილიას დაცვა ჩვენი საქმე არ იყო, ჩვენ არ გვეხებოდა. ვერ მივხვდით, რომ იმპერიის მთავრობა ილიასთანა კაცებს არ დაიცავდა, რადგან ილია მათთვის საშიში იყო და აი, შედეგიც. ჩვენ ილიას მკვლელებზე ნაკლები დამნაშავენი არა ვართ, იქნებ ჩვენი ცოდვა კიდევ უფრო დიდია. მკვლელებმა ილიას ფასი არ იცოდნენ, ჩვენ ხომ ვიცოდით? ბევრი ცნობილი ადამიანია

ამჟამად საქართველოში, ნიჭით, სწავლა-განათლებით გამორჩეული. რომელი მათგანი მივიდა და დაუდგა გვერდში ილიას? პირიქით, ყველა განზე გადგა, ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა, ყველა დადუმდა. რას ელოდნენ? ილიას სიკვდილს? და, აი, დადგა ეს დროც! ახლა ნახონ, თუ რა მძიმე ჯვარს ეზიდებოდა ილია! იმ ჯვრის მტვირთველი დღეს არავინაა საქართველოში! განკითხვის ჟამი დგება, მის დასაწყისს ჩვენ მოვესწარით, როდის დასრულდება იგი, ღმერთმა იცის! (*ყველანი ჩაფიქრდებიან. დუმან*).

მეოთხე სცენა

ბაქო. რუსული ეკლესიისაკენ მიმავალი ქუჩა. ბევრი ხალხი ირევა. დრო: 1908 წელი

(*ქუჩაში მიდის შუა ხანს გადაცილებული მღვდელი. წამოეწევა მამაკაცი, კარგა ხანს უკან მიჰყვება. ეკლესიასთან რომ მივლენ მამაკაცი მღვდელს ზურგიდან ხმადაბლა დაუძახებს: მამა გიორგი! მღვდელი შემობრუნდება და გაოცებული შედგება, ჩურჩულით იტყვის: „დიდება უფალს, ეს თქვენა ხართ, ჯულაშვილო?“*).

იოსებ ჯუღაშვილი: დიახ მე ვარ! ეკლესიაში შევიდეთ, ქუჩაში ჩემი დგომა არ შეიძლება!

მამა გიორგი: შევიდეთ! სადიაკვნო ოთახს მიაგნებ? იქ დამელოდე!

იოსებ ჯუღაშვილი: მივაგნებ!

(ცოტა ხნის შემდეგ სადიაკვნო ოთახში პატარა მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ სხედან მამა გიორგი და იოსებ ჯუღაშვილი).

იოსებ ჯუღაშვილი: მამა გიორგი, ბაქოში მსახურებთ?

მამა გიორგი: ასე ინება, შვილო, ღმერთმა!

იოსებ ჯუღაშვილი: ღმერთმა თუ ეგზარქოსმა?

მამა გიორგი: ღმერთმა!

იოსებ ჯუღაშვილი: ნუ გამიბრაზდები, მამაო!

მამა გიორგი: არ გიბრაზდები!

იოსებ ჯუღაშვილი: სემინარიის ეკლესიაში მოსვლა იმიტომ მიხაროდა, რომ თქვენი ქადაგებები მომწონდა!

მამა გიორგი: ვერ ვყოფილვარ ვერც კარგი მოძღვარი და ვერც კარგი მქადაგებელი!

იოსებ ჯუღაშვილი: ყველაფერი ღმერთის ნებაა!

მამა გიორგი: ტყუილი, ძალადობა და კა-

ცის კვლა ღმერთ ის ნება არ შეიძლება იყოს, ეგ სატანის ნებაა!

იოსებ ჯუღაშვილი: რაღაცაში მდებთ ბრალს, მამაო, სჯობს პირდაპირ მითხრათ!

მამა გიორგი: გეტყვი. მე შენი მოძღვარი ვიყავი. აღსარებას მაბარებდი, ბევრჯერ გაზიარე. შენში ეჭვი არასდროს შემპარვია. მეგონა სამაგალითო მღვდელი დადგებოდი. არც ის გამიკვირდებოდა, ეპისკოპოსად ხელდასხმა რომ მიგეღო. მე ღმერთს შენი სული უნდა შევავედრო. ამჯერად აღსარებას არ ვიბარებ, მხოლოდ ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი: ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე? შენ თუ ხარ ამ ცოდვაში გარეული?

იოსებ ჯუღაშვილი: მე ამ საქმისა არა ვიცი რა! არ გჯერათ?

მამა გიორგი: დაგავიწყდა, რომ მოძღვარს ამ კითხვას არ უსვამენ? რატომ არ უნდა მჯეროდეს, მჯერა! შენგან მინდოდა გამეგო ეს სიტყვები, თორემ მე დარწმუნებული ვიყავი: „ივერიაში" დაბეჭდილი ხუთი შესანიშნავი ლექსის ავტორი, ჩემი სულიერი შვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობას არ მიიღებდა!

იოსებ ჯუღაშვილი: გმადლობთ! აღარც კი მახსოვს, თქვენისთანა ადამიანი ბოლოს როდის ვნახე. ჩემი ცხოვრება უზნეო ადამიანებ-

თან მუდმივმა ურთიერთობამ ჯოჯოხეთად აქცია, ძნელია უზნეო ადამიანებში ცხოვრება!

მამა გიორგი: შენ როგორი გახდი, იოსებ!

იოსებ ჯუღაშვილი: მეც უზნეო გავხდი. თუმცა პოლიტიკაში ჩემისთანა კაცს უზნეო არ ჰქვია. ჩემისთანა კაცი ეკლესიისათვისაა უზნეო. რევოლუციონერის პროფესია მეძავი ქალის პროფესიაზე უფრო საძაგელია!

მამა გიორგი: მერე რა გინდა მაგ უზნეო ადამიანებში? შენ ხომ შეგეძლო სხვა გზა აგერჩია, შენ ყველაფრის ნიჭი გქონდა, რატომ აირჩიე ეს გზა?

იოსებ ჯუღაშვილი: უსამართლობა ცეცხლითა და მახვილით უნდა ამოიკვეთოს! ზნეობრივმა ადამიანებმა ეს ვერ შეძლეს. ბევრი წერეს იდეალური საზოგადოებისა და სახელმწიფოების შექმნის თაობაზე, ძმობის, თანასწორობისა და ერთობის თაობაზე. ყველაფერი ამაო გამოდგა. იმ უზნეო ადამიანებს, სახელმწიფოებისა და ხალხების ბედი რომ ებარათ, ყოველივე ეს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. უზნეობას უზნეობით უნდა ებრძოლო, სხვა გზას მე ვერ ვხედავ.

მამა გიორგი: ღმერთის მცნება...

იოსებ ჯუღაშვილი (*აწყვეტინებს*): ვიცი, მამაო, მე რომ ღმერთის მცნებებით მევლო,

დღეს ეკლესიაში ვიქნებოდი თქვენსავით. მე სხვა გზა ვარჩიე. ამაზე ნულარ ვიკამათებთ!

მამა გიორგი: თქვენი ნებაა! ახლა არა როგორც მოძღვარი, არამედ როგორ ქართველი ქართველს გეკითხები: ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე? ცხადია, ჩემგან შენს ნათქვამს ვერავინ შეიტყობს.

იოსებ ჯუღაშვილი: ზოგიერთი რაღაც ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვი, არა იმიტომ, რომ საიდუმლოს ვერ შეინახავ, იმიტომ, რომ ასე სჯობს თქვენთვის! დამიჯერეთ, ასე სჯობს! ვიცი, საქართველოში დიდი ვნებათა ღელვაა, ბრალს სდებენ ერთმანეთს. თქვენ კონკრეტულად ვინც გაინტერესებთ მკითხეთ და თუ რაიმე ვიცი, გიპასუხებთ.

მამა გიორგი: მთავრობა თუ ურევია ამ საქმეში?

იოსებ ჯუღაშვილი: არა!

მამა გიორგი: თქვენი პარტია, თბილისის კომიტეტი?

იოსებ ჯუღაშვილი: კონკრეტულ პიროვნებებზე მკითხეთ?

მამა გიორგი: ნოე ჟორდანია?

იოსებ ჯუღაშვილი: გამორიცხულია!

მამა გიორგი: ფილიპე მახარაძე?

იოსებ ჯუღაშვილი: არ ვიცი! ისე დიდი უზნეო კაცია!

მამა გიორგი: სერგო ორჯონიკიძე?

იოსებ ჯუღაშვილი: ეგ იმ უზნეო კაცებშიც კი გამორჩეულია თავისი უზნეობით, ყველაფერს იკადრებს!

მამა გიორგი: მე საგანგებოდ შევხვდი ექიმს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის გვამი დაათვალიერა. იცი, რა მითხრა: ილიას ტყვია შუბლში კი არა აქვს მოხვედრილი, არამედ ზურგში, უფრო სწორად, მარცხენა მხრიდან ნეკნების გავლითაა ტყვია სხეულში შესული, გულია გაგლეჯილი.

იოსებ ჯუღაშვილი (*დაფიქრებული*): ნაცნობი ხელწერაა, ყველაფერი ნათელია!

მამა გიორგი: რა არის ნათელი?

იოსებ ჯუღაშვილი (*ფიქრებში წასული*): არაფერი, მამაო! სჯობს ამ ბინძურ ისტორიაში თქვენ არ ჩაიხედოთ, თქვენ ადამიანი უნდა გიყვარდეთ!

მამა გიორგი: მე ადამიანი ყველა შემთხვევაში უნდა მიყვარდეს!

იოსებ ჯუღაშვილი: ილიას მკვლელიც? პასუხი არ მინდა, მამაო! ვიცი, რასაც მიპასუხებთ! ჩემი წასვლის დროა, მშვიდობით! (*იოსებ ჯუღაშვილი გადის*).

მამა გიორგი: ღმერთო! შენ მოაქციე ქრისტეს მცნებაზე მონა შენი იოსები, შეუნდე შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი!

იოსებ ჯულაშვილი: (*ქუჩაში გასული რამდენიმე წუთით შედგება, ჩაფიქრდება და თავისთვის ჩაილაპარაკებს*): ტყვია ზურგიდან ესროლეს, ესე იგი გლეხები, რომელთაც ეტლი გააჩერეს, არაფერ შუაში არიან, მკვლელი სხვა ვინმეა! მარცხენა მხრიდან, ნეკნების გავლით შევიდა ტყვია სხეულში და გული გაგლიჯა. ასე ორი კაცი ისვრის საქართველოში. ერთი ამჯერად ციმბირშია, მეორე სად არის ნეტავ? შარშან ბაქოში ვნახე! ფილიპე და სერგო ნამდვილად გარეული არიან ამ საქმეში. მაგრამ ვინ არის მესამე? ფილიპეს და სერგოს ცენტრალური კომიტეტი არ ენდობოდა. ვინ არის მესამე, ვინც ჩემი უარის შემდეგ ეს ბინძური საქმე იკისრა? ქართველს აღარ დაავალებდნენ, აღარ ენდობოდნენ. მე მგონი ვხვდები, ვინც უნდა იყოს!

მეხუთე სცენა

ქუთაისი. საფიჩხია. ექიმ მიხეილ ქურდიანის ბინა. კაბინეტში ზის ექიმი, მაგიდაზე გაზეთი აქვს გაშლილი. დრო: 1909 წელი.

(*შემოდის ექიმის ქალიშვილი ნესტანი*).

ნესტანი: მამა! ვილაც უცხო კაცი მიღებას ითხოვს!

მიხეილ ქურდიანი: უკვე გვიანაა, ასისტენტიც შინ გავუშვი. გადაეცით თუ სასწრაფოდ რაიმე არ სჭირდება ხვალ მობრძანდეს! (*ქალიშვილი გადის და რამდენიმე წუთში ბრუნდება*).

ნესტანი: მამა! ნოე ჟორდანია ვარო, იქნებ ახლავე მიმიღოსო.

მიხეილ ქურდიანი (*ფეხზე წამოიჭრება*): ნოე ჟორდანია? თხოვეთ!

(*ოთახში შემოდის ნოე ჟორდანია. თავს დაუკრავს ექიმს*).

ნოე ჟორდანია: ბატონო მიხეილ! მაპატიეთ, ასე გვიან რომ გაწუხებთ!

მიხეილ ქურდიანი: მე ექიმი ვარ და ჩემი მოვალეობაა, ყველას დავეხმარო, მაგრამ თქვენ როგორ გაბედეთ ჩემთან მოსვლა. ბოლოს და ბოლოს ქუთაისში სხვა ექიმიცაა!

ნოე ჟორდანია: რატომ?

მიხეილ ქურდიანი: ვერ ხვდებით?

ნოე ჟორდანია: დაახლოებით. არ მჯეროდა, რომ თქვენც ბრალს მდებდით!

მიხეილ ქურდიანი (*ოდნავ დამშვიდდება*): მოიღეთ სიკეთე და მიბრძანეთ, რა უნდა მეფიქრა? ილია ჭავჭავაძე მოკლეს და იმისი უფლებაც არ მქონდა, გამეგო, თუ ვინ ჩაიდინა მკვლელობა?

ნოე ჟორდანია: რაღა ჩემზე იფიქრეთ? ათი წელია ვიცნობთ ერთმანეთს, ბევრი გვისაუბრია, მათ შორის ილიაზეც. ექიმი ბრძანდებით და ადამიანის ფსიქოლოგიას კარგად უნდა იცნობდეთ. ვგავარ მე მკვლელს? შემეძლო მე ტერორისტი მიმეგზავნა ილიასათვის?

მიხეილ ქურდიანი: ეგ არც მიფიქრია. მკვლელობა და განაჩენის გამოტანა სხვადასხვა რამაა.

ნოე ჟორდანია (*ცოტა აღშფოთდა*): ვინც ილიას მოკვლის გადაწყვეტილება მიიღო, ის უფრო დიდი დამნაშავეა, ვიდრე ის საცოდავი ტერორისტი, რომელმაც შეიძლება არც კი იცოდა, ვის ესროლა!

მიხეილ ქურდიანი: არ გეკამათებით!

ნოე ჟორდანია: მე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე არ გამომიძიებია; თუ თქვენ ეს გაინტერესებთ, მოგახსენებთ ჩემს

შესახებ, ანუ იმის შესახებ, რასაც გამოძიება არ სჭირდება!

მიხეილ ქურდიანი: ბრძანეთ!

ნოე ჟორდანია: ილია მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს. მე ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერისათვის რუსეთში დამაპატიმრეს 1907 წლის ივლისში. ციხიდან გამოვედი და საქართველოში დავბრუნდი 1907 წლის დეკემბერში. ყოველივე ეს დოკუმენტურად შემიძლია დავადასტურო.

მიხეილ ქურდიანი: ვის შეეძლო ჩაედინა მკვლელობა?

ნოე ჟორდანია: მოგახსენეთ, მე გამოძიება არ ჩამიტარებია, არ ვიცი! გარკვეული ეჭვი მაქვს, მაგრამ შეიძლება ვცდებოდე, ამიტომ ვერაფერს გეტყვი.

მიხეილ ქურდიანი: მე ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რატომ დაუკავშირდა თქვენს სახელს ილიას მკვლელობა. ვფიქრობ, ორმა გარემოებამ ითამაშა გარკვეული როლი. გაინტერესებთ?

ნოე ჟორდანია: ბრძანეთ, გისმენთ!

მიხეილ ქურდიანი: ბატონო ნოე! ნუ გეწყინებათ და პირველი მიზეზი თქვენი და ილიას პოლემიკაა, 1900 წელს რომ გაიმართა! მეორე მიზეზი თქვენი წერილი და კერძოდ, ეს ფრაზა: „ხეს სჭრიან, ნაფოტი სცვივა!"

ნოე ჟორდანია: 1900 წლის პოლემიკა გახსოვთ და არ გახსოვთ 1905 წელს ფილიპე მახარაძის ჟურნალ „მოგზაურის“ თავდასხმა ილიაზე!

მიხეილ ქურდიანი: მერე ვინ მოგახსენათ, რომ არავის ახსოვს? განა ფილიპე მახარაძეს არ სდებენ ბრალს?

ნოე ჟორდანია: არა, მე იმას კი არ ვამბობ, რომ ილია ჭავჭავაძე ფილიპე მახარაძემ მოაკვლევინა, მხოლოდ იმისი თქმა მინდოდა, რომ 1900 წლის ამბავი გაიხსენეთ, 1905 წლისა კი – არა.

მიხეილ ქურდიანი: ფილიპეზე დიდი ეჭვებია საზოგადოებაში, იმაზე გაცილებით დიდი, ვიდრე თქვენზე!

ნოე ჟორდანია: ვერაფერს მოგახსენებთ, მე ფილიპეს არ შევხვედრივარ, არ მისაუბრია.

მიხეილ ქურდიანი: ლაპარაკობენ „ვიღაც იმერელზე“, რომელიც ვითომდა მკვლელობის ადგილზე იყო იმ დღეს.

ნოე ჟორდანია: მეც გამიგია, მაგრამ რატომ უნდა იყოს ეს მაინცდამაინც ფილიპე?

მიხეილ ქურდიანი: არა, ფილიპე არა, სერგო ორჯონიკიძე უნდა იყოსო, ამბობენ.

ნოე ჟორდანია: მაგ კაცს არ ვიცნობ, ვინც იცნობს ამბობს: ყველაფრის მკადრებელიაო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის „ვიღაც

იმერელი" მაინცდამაინც სერგო ორჯონიკიძეა. იქნებ ერთ-ერთი ტერორისტი იყო იმერელი?

მიხეილ ქურდიანი: სათავე სადაა, ვინ შეუკვეთა მკვლელობა?

ნოე ჟორდანია: მერწმუნეთ არაფერი ვიცი, რომც ვიცოდე ვერაფერს გეტყვით. მკვლელობის დამკვეთზე მითითება საშიში საქმეა, ამას ყველა ერიდება. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ტერორისტები ისჯებიან. დამიჯერე ვინც ილიას ესროლა მან მკვლელობის დამკვეთის შესახებ არაფერი იცოდა. ტერორისტები ფეხებით, რომ დაჰკიდონ ვერაფერს იტყვიან.

მიხეილ ქურდიანი: მეც მეჩვენება, რომ არც ძიება და არც სასამართლო მკვლელობის დამკვეთით არ დაინტერესებულა.

ნოე ჟორდანია: აკი მოგახსენეთ, ეს ძალზე საშიში საქმეა-მეთქი.

მიხეილ ქურდიანი: ნუ გეწყინებათ და მაინც მგონია, რომ სოციალ-დემოკრატების დაკვეთილია ეს მკვლელობა!

ნოე ჟორდანია: ბატონო მიხეილ! დამიჯერეთ, თავი დაანებეთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამკვეთის ძიებას, დამიჯერეთ, ეს მეტად საშიში საქმეა!

მიხეილ ქურდიანი: კეთილი, ასე იყოს. არ ვიცი თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ

ილიას ცხედარი ექიმმა იაშვილმა დაათვალიერა. იცით რა მითხრა იაშვილმა? ილიას ტყვია თავში საერთოდ არა აქვს მოხვედრილი. ტყვია სხეულში შესულა ზურგის მხრიდან, მარცხენა ნეკნების არეში, გაუვლია გული და გამოსულა მარჯვენა ძუძუს დვრილთან, გულია გახვრეტილი. აი, აქ მოხვდა და აი, აქ გამოვიდა ტყვია (*თავის სხეულზე აჩვენებს სხეულში ტყვიის შესვლისა და გამოსვლის ადგილს*).

ნოე ჟორდანია: ესე იგი, ზურგიდან ესროლეს?

მიხეილ ქურდიანი: დიახ, ზურგიდან. ექიმ იაშვილს ოქმში არ ჩაუწერია, მაგრამ მე გამანდო: ტყვია, რომელმაც ილია მოკლა, დაახლოებით 50 მეტრის მანძილიდან არის ნასროლი. ისინი კი, ვინც ეტლი გააჩერა ილიას პირისპირ იდგნენ, დიდი-დიდი 3-5 მეტრის მოშორებით.

ნოე ჟორდანია: გამოდის, რომ ილია მეორე ჩასაფრებიდან მოკლეს, ტერორისტი ზურგის მხრიდან იდგა.

მიხეილ ქურდიანი: ასეა!

ნოე ჟორდანია: ამიტომაც მოგახსენეთ, ბატონო მიხეილ! ეს ძალზე ბინძური საქმეა, ჭკვიანურად დაგეგმილი ბინძური საქმე! დაანებეთ ამაზე ფიქრსა და საუბარს თავი. მოვა დრო, ყველაფერს ნათელი მოეფინება.

მიხეილ ქურდიანი: ჰო, მართლა, ბრძანეთ, რა გაწუხებთ, რით დაგეხმაროთ?

ნოე ჟორდანია: უკვე გვიანაა, ხვალ დილით გეახლებით.

მიხეილ ქურდიანი: როგორც გენებოთ!

(ნოე ჟორდანია გადის, ექიმი გააცილებს, კაბინეტში რომ შემობრუნდება, იქ მეუღლე სოფიო დახვდება).

სოფიო: ასეთი რა აწუხებდა თქვენს ძველ პაციენტს, უკვე შუა ღამეა და როგორც იქნა მორჩით.

მიხეილ ქურდიანი: არაფერიც არ აწუხებდა! გაიგებდა, მე რომ საჯაროდ ვდებდი ბრალს და თავის გასამართლებლად მოვიდა!

სოფიო: რაო?

მიხეილ ქურდიანი: არ უნდა იყოს ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გარეული. შეწუხებულია, მის სახელს რომ დაუკავშირდა ეს მკვლელობა. შეშინებულიცაა. მეც გამაფრთხილა: მოეშვი ამ საქმის ჩხრეკასო.

სოფიო: რატომაა შეშინებული?

მიხეილ ქურდიანი: ილიას მკვლელობის დამკვეთი იცის და იმიტომ!

სოფიო: გითხრათ თუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა?

მიხეილ ქურდიანი: გაგიჟდით, თვითონ რომ იცის, იმისი ეშინია და მე მეტყოდა?! *(ორივენი გადიან)*

მეექვსე სცენა

თბილისი. რსდმპ თბილისის კომიტეტის კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან: ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, პეტრე გელეიშვილი, სერგო ორჯონიკიძე. დრო: 1912 წელი.

ფილიპე მახარაძე: ამხანაგებო! ეს თათბირი ამხანაგ ლენინის მითითებით ტარდება. წერილი პრაღიდან ამხანაგმა კნუნიანცმა ჩამოიტანა, იგი ავადაა და პირადად ვერ ესწრება ჩვენს თათბირს. მე ამ წერილს ვიცნობ და თუ წინააღმდეგი არ იქნებით მოგახსენებთ.

სილიბისტრო ჯიბლაძე: ფილიპე! რატომ გველაპარაკება ამხანაგი ლენინი სომხების პირით, იქნება ჩვენ არ გვენდობიან?

ფილიპე მახარაძე: ქართველი და სომეხი არ იცის ჩვენმა პარტიამ, არც მუშათა, მოძრაობამ, სოციალისტი სოციალისტია!

სილიბისტრო ჯიბლაძე: მე ეგ არ მიგულისხმია. თუ დავალება შესრულდა, მადლობას ამხანაგი კნუნიანცი მიიღებს, თუ საქმე გა-

ფუჭდა, ხელს ჩვენ შეგვახოცავს. იყო ასეთი შემთხვევები, თუ გახსოვს შენ, ფილიპე! წერილი თუ მოიტანე?

ფილიპე მახარაძე: სილიბისტრო! რამდენი წელი უნდა გაატარო ციხეებსა და კატორლაში, რომ მიხვდე: ასეთი წერილი წაკითხვისთანავე ნადგურდება!

პეტრე გელეიშვილი: კარგით! საქმეს შევუდგეთ, რას გვწერენ პრაღიდან?

ფილიპე მახარაძე: ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ საქმე ჩვენს სასარგებლოდ მიდიოდა, მადლობაც მივიღეთ ამისათვის. თითქოს დასრულდა ილიას მონოპოლია ქართულ საზოგადოებაში, პრესაში, პუბლიცისტიკაში. ეს ერთი წელია, ვითარება ჩვენს საზიანოდ შეიცვალა. ჟენევაში საქართველოდან გადახვეწილ ეროვნულ-დემოკრატებს გამოუციათ ჟურნალი „თავისუფალი საქართველო". ამხანაგები ლენინი და პლეხანოვი, ასევე სხვებიც, საგანგაშოდ მიიჩნევენ ამ ჟურნალის გამოსვლას. მე ჟურნალი არ მინახავს, მაგრამ ამხანაგი კნუნიანცი ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერია" გამახსენაო. სავარაუდოა, რომ ჟურნალის ნომრები უკვე შემოვიდა, ან მალე შემოვა საქართველოში. ჩვენ დაგვავალეს, რაც შეიძლება ეფექტური ზომებით ვებრძოლოთ ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს".

პეტრე გელეიშვილი: რა წერია მაინც ამ ჟურნალში, რას მოითხოვენ?

ფილიპე მახარაძე: ძირითადად ორ რაიმეს: საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ერის მოღალატეებად ვართ გამოცხადებული.

სილიბისტრო ჯიბლაძე: კარგი ლეკვები გამოუზრდია ილია ჭავჭავაძეს. ილიას მკვლელობის ჟამს გაიყუჩნენ, ხმა არ ამოიღეს. ახლა, ხედავთ, რას აპირებენ?! მგონია, ჩვენ ახლიდან ვიწყებთ ბრძოლას. ეს ბრძოლა უფრო ძნელი იქნება! ხედავთ, სად წასულან? ჟენევიდან გვებრძვიან. იცის კი ვინმემ, რა ხალხია, რით სულდგმულობენ? ძნელი იქნება მაგათთან ბრძოლა! არადა, ავტონომიისა და ავტოკეფალიის მიღწევა სოციალ-დემოკრატიის აღსასრულს მოასწავებს.

სერგო ორჯონიკიძე: ამხანაგებო! მე არ ვიზიარებ ამხანაგ სილიბისტროს პესიმისტურ შეხედულებას. ჩვენ ილია ჭავჭავაძე მოვსპეთ ფიზიკურადაც და იდეურადაც. აღარავის ახსოვს იგი, ილიას ეპოქა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა. ილიას აზრი ვეღარ იბატონებს საქართველოში, მალე მისი სახელი საერთოდ აღარ ემახსოვრება ვინმეს. ჩვენ, სოციალისტები...

(მოულოდნელად ქუჩიდან ოთახში შემოიჭრება სიმღერის ხმა („ჩემო კარგო ქვეყანავ"). სერგო ორჯონიკიძეს სიტყვა პირზე შეაცივდა. ყველანი გაოგნებულნი შეჰყურებენ ერთმანეთს. ოთახში ბნელდება. ყველანი ბნელში შთაინთქმებიან.

სცენა ისევ ნათდება. სცენის სიღრმეში, ზემოთ, ილია ჭავჭავაძის მომღიმარი პორტრეტია, ვაჟთა და ქალთა (ახალგაზრდების) გუნდი თავიდან ბოლომდე ასრულებს სიმღერას „ჩემო კარგო ქვეყანავ"!)

მეშვიდე სცენა

თბილისი. ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის ბაღი. სკამზე სხედან უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II და კონსტანტინე აფხაზი. დრო: 1918 წლის 26 მაისის საღამო.

კირიონ II: მადლობა უფალს, რომ დღეს, 26 მაისს, აღსრულდა ქართველთა მრავალი თაობის ოცნება! ღვთის შეწევნით აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა! მადლობა უფალს! თავადო! რა დასანანია, რომ საქართველოს უგვირგვინო მეფე,

ერის სულიერი მამა, ილია ჭავჭავაძე, ვერ მოესწრო ამ დღეს. ილიას მადლი აკლდა დღევანდელ ზეიმს.

კონსტანტინე აფხაზი (*აღელვებული*): თქვენო უწმინდესობავ! ილია ჭავჭავაძე ბიძა იყო ჩემი, ამიტომ მე არ მინდოდა ამ თემაზე დამეწყო საუბარი, ვერ გავბედავდი თქვენი ყურადღების მიპყრობას!

კირიონ II: ბრძანეთ, გისმენთ!

კონსტანტინე აფხაზი: თქვენო უწმიდესობავ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ფიქრობს თქვენსავით. ხომ ნახეთ, ნოე ჟორდანიას ერთხელაც არ უხსენებია ილია! ეროვნულ-დემოკრატებმაც ალღო აუღეს შექმნილ ვითარებას და მათაც წყალი ჩაიგუბეს პირში! ილიას „ივერიაში" აღზრდილი ხალხიც დუმდა! სასახლის აივნიდან დამოუკიდებლობის აქტი რომ წაიკითხეს, ცხრა-ათი ათასი კაცი მაინც იქნებოდა ქუჩაში, ახსენა ვინმემ ილიას სახელი? თქვენო უწმიდესობავ! ხვალ გაზეთებში ფართოდ გაშუქდება ეროვნული საბჭოს დღევანდელი სხდომა, დარწმუნებული ვარ, არც ერთი გაზეთი ილიას არ ახსენებს, „მგზავრის წერილების" ავტორი ყველას დაავიწყდება!

კირიონ II: მესმის თქვენი გულისტკივილი თავადო, მეც ძალიან მტკივა გული! მე პატრიარქი ვარ და პოლიტიკაში ვერ გავერევი, პო-

ლემიკას ვერ გავუმართავ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ყველაფერში გეთანხმებით. აკი გითხარით, ილიას მადლი აკლდა დღევანდელ ზეიმს-მეთქი! ღმერთმა შეუნდოს ყველას, ვინც ილიას ღვაწლი ნებსით თუ უნებლიეთ დაივიწყა, შევთხოვ უფალს, რომ გონება გაუნათოს ყოველ მათგანს!

კონსტანტინე აფხაზი: თქვენო უწმიდესობავ! ილიამ თავისი მისია ბოლომდე აღასრულა, ქართველი ერი მას არასდროს დაივიწყებს: მე გული მხოლოდ იმაზე მტკივა, რომ ჩვენს პოლიტიკურ ელიტას ძალზე ცუდი მეხსიერება აღმოაჩნდა. ნუთუ ასე დიდი დრო გავიდა 1907 წლის 30 აგვისტოდან 1918 წლის 26 მაისამდე? მეჩვენება რომ ილიას დავიწყება შემთხვევითობა არაა. ილიას დამვიწყებელი ახალ საქართველოს ვერ ააშენებს, ილიას ტახტზე ამ პოლიტიკოსთაგან ვერავინ დაბრძანდება, ილიას გვირგვინს ვერავინ ვერ დაიდგამს! ხალხი მალე შეაქცევს ზურგს ამ ხელისუფლებას, დაილუპება ილიას მიერ დაწყებული საქმე, დაილუპება საქართველო!

კირიონ II: ილიას დისწულს უიმედობა არ შეგფერით, ღმერთი მოწყალეა, ღვთისმშობელი დაიფარავს ქართველობასა და სრულიად საქართველოს! ილიამ მოწამებრივად იცხოვრა და მოწამებრივადვე აღესრულა. პირადად ჩემთვის არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ

ილიას ებრძოდნენ და არ სცნობდნენ არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ. გაიხსენეთ, თავადო, როგორ შეხვდნენ იესოს ნაზარეთში, სადაც იგი იზრდებოდა. სწორედ ნაზარეთში ბრძანა მაცხოვარმა: „არავინ წინაწარმეტყველი შეწყნარებულ არს თჳისსა მამულსა“ (*ლუკა, 4,24*). ეროვნული საბჭოს დღევანდელი სხდომა ამ ჭეშმარიტების დადასტურება იყო. მე ვერ გეტყვით, რომ ილიასადმი ასეთი დამოკიდებულება ხვალ ან ზეგ შეიცვლება, მაგრამ მჯერა რომ ილიას ფასს, ადრე თუ გვიან, შეიცნობს ქართველი ერი, ეთაყვანება მას. გჯეროდეს, რომ უფლის ნებით ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ეკლესია წმინდანად შერაცხავს! როდის იქნება ეს, დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ილია წმინდანად აუცილებლად შეირაცხება!

(*კონსტანტინე აფხაზი წამოდგება, მუხლს მოიყრის, ხელზე ემთხვევა კათოლიკოს-პატრიარქს. უწმიდესი ჯვარს გადასახავს. ისმის ზარების რეკვა და საეკლესიო „მრავალჟამიერი“*).

(*ფარული*)

ძეორე ძოქმედების დასასრული.

სარჩევი

პირველი მოქმედება 6
პირველი სცენა 7
მეორე სცენა 14
მესამე სცენა 19
მეოთხე სცენა 27
მეხუთე სცენა 37
მეექვსე სცენა 45
მეშვიდე სცენა 52
მერვე სცენა 56
მეცხრე სცენა 65
მეათე სცენა 72
მეთერთმეტე სცენა 83
მეთორმეტე სცენა 89

მეორე მოქმედება 91
პირველი სცენა 92
მეორე სცენა 96
მესამე სცენა 102
მეოთხე სცენა 105
მეხუთე სცენა 112
მეექვსე სცენა 119
მეშვიდე სცენა 123

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
ნინო ყულოშვილი
მართა ნიკლაური

გამომცემლობა
ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 53-05-22
inteleqti@caucasus.net